619
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

მარტი
№ 3 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი ღამით.

ვ. ჯეირანელის ფოტო



სამახსოვრო მედალი.

# დედაქალაქის მაჯისცემა

თბილისელი მოქალაქეები.



„დროშის“ კორესპონდენტი **ოთარ დემეტრაშვილი** ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსს **გრიგოლ ჟორჟიკაშვილს** და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

— პატივცემულო გრიგოლ, თბილისის მოსახლეობამ უკვე რამდენიმე თვეა რაც მილიონს მიაღწია. რას გვეტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით?

— 1974 წლის 27 სექტემბერი ღირსშესანიშნავი თარიღია თბილისის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ამ დღეს თბილისი მილიონიანი ქალაქი გახდა. საქართველოს დედაქალაქი საბჭოთა კავშირში ახლა მეთორმეტე ქალაქია, რომლის მოსახლეობა მილიონს აღემატება.

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებისათვის, ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ რამდენიმე ციფრს მოვიყვან.

თბილისში 1803 წელს მხოლოდ 17.100 ადამიანი ცხოვრობდა, 1864 წელს — 66.900 ადამიანი, 1876 წელს — 104.000 ადამიანი. 1897 წელს რუსეთის იმპერიაში პირველად ჩატარდა საყოველთაო აღწერა. ამ აღწერიდან ჩანს, რომ აღნიშნულ წელს თბილისის მოსახლეობა 159.600 კაცს შეადგენდა. 1917 წელს თბილისში ცხოვრობდა 231.100 კაცი, 1926 წელს 294.000 კაცი. თბილისის მოსახლეობამ 1939 წელს ნახევარ მილიონს გადააჭარბა. 1959 წელს თბილისში 703.000 კაცი ცხოვრობდა, 1970 წელს — 889.000 კაცი. 1975 წლის 1 იანვრისათვის კი თბილისის მოსახლეობამ 1.005.800 კაცს მიაღწია.

მოსახლეობის ზრდის ყველაზე დადებით მაჩვენებლად ბუნებრივი ნამატი ითვლება. მარტო ბუნებრივი ნამატით ჩვენს დედაქალაქს უკანასკნელ წლებში საშუალოდ ყოველწლიურად ყოველ ათას კაცზე 9,4 კაცი ემატება.

თბილისის მოსახლეობის საერთო მატებაში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მექანიკურ ნამატს. (საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, რაიონებიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულთა მეოხებით ქალაქის მოსახლეობის ზრდას), რომელიც უკანასკნელ წლებში საშუალოდ ყოველწლიურად ყოველ ათას კაცზე 10,9 კაცს შეადგენდა.

თბილისის მილიონიან ქალაქად გახდომას, ბუნებრივი და მექანიკური ნამატის გარდა, ხელი შეუწყო ახალი ტერიტორიების შემოერთებამ. უკანასკნელ წლებში თბილისს შემოუერთდა სოღანლუღის, ოქროყანის, ვაშლიჯვარის, სამგორის ტერიტორიები. ამ შემოერთებული ტერიტორიების ხარჯზე ქალაქს 19,7 ათასი კაცი შემოემატა.

თბილისში მოსახლეობის მატება კვლავაც სწრაფი ტემპით გაგრძელდება. 1990 წლისათვის ჩვენს ქალაქში 1.812.000 კაცი იცხოვრებს.

(დასასრული იხ. მე-11 გვ.)



ეს ბიჭუნაც მედალოსანია.



ტყუპის ცალებმა ფრიდონმა და ტარიელმა 27 სექტემბერს სამახსოვრო მედლები მიიღეს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (459) მარტი. 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1975



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. ბახტაძე. თ. გოგოლაძე (პ. მგ. მდივანი). ო. დემეტრაშვილი. გ. დოჩანაშვილი. ს. დურმიშიძე. დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი). ლ. სულაბერიძე. ი. ტაბაღუა. უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის.

გ. კიკვიძისა და ი. დავითაშვილის ფოტო.

# გამარჯვებულნი

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მონაწილეობით

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი სახელოვანი მაჩვენებლებით დაამთავრეს საქართველოს მშრომელებმა. სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მოპოვებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკა დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

28 თებერვალს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეები, ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ე. დიმშიცი, პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ნოვატორები, მეცნიერები, მწერლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

შეკრებილებმა მქუხარე ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. ე. დიმშიცს.

ამხანაგმა ბ. ე. დიმშიცმა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ამხანაგებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურის წარმომადგენლებს მქუხარე ტაშის გრიალში გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ერთსულოვნად მიიღეს საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების რეზოლუცია.

შეკრებილთა ტაშის გრიალში იღებენ მისალმებას საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელიც დიდი აღმავლობით ჩატარდა, ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური დარაზმულობა. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საქართველოს სსრ მშრომელთა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც შემუშავებულია საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში მშრომელთა კოლექტივების მიერ, აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა რაიონულ და საქალაქო შეკრებებზე მიღებულ ვალდებულებათა საფუძველზე.

წინ ახალი ზღუდეებია დასაპყრობი! ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც ისახელებენ თავს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ახალი მიღწევებით გაახარებენ სამშობლოს.


37 средняя школа.

Музей боевой славы

Дорогие ребята!

Я с удовольствием выполняю вашу просьбу и направляю присланные мне фотографии. Дело, которым вы занялись, и мне кажется очень полезным и нужным.

Желаю Вам удач в ваших поисках.

Поздравляю вас с наступающим Новым годом, желаю крепкого здоровья и успехов в учебе.

Л. БРЕЖНЕВ

«29» декабря 1974 года

# თბილისი, 37-ე საშუალო სკოლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ფოტოსურათი ლ. ი. ბრეჟნევმა ავტოგრაფით გამოუგზავნა თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

სასიხარულო ახალი წელი დაუდგათ თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ბევრი მილოცვა, კეთილი სურვილები მიიღეს ამ დღეებში, მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული მათ მოუტანა მოსკოვიდან მოსულმა წერილმა:

„ძვირფასო ბავშვებო!

სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გიბრუნებთ ჩემთვის გამოგზავნილ ფოტოსურათებს. საქმე, რომელსაც თქვენ მოჰკიდეთ ხელი, ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო და საჭიროა.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს ძიებაში.

გილოცავთ მომავალ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს სწავლაში.

ლ. ბრეჟნევი

1974 წლის 29 დეკემბერი".

წერილს თან ახლდა გმირი ქალაქის ნოვოროსიისკისათვის ოქროს ვარსკვლავისა და ლენინის ორდენის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე გადაღებული ფოტოსურათები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ავტოგრაფით.

მოსკოვიდან მოსულმა რელიკვიებმა საპატიო ადგილი დაიკავეს 37-ე სკოლის დიდების მუზეუმის კოლექციაში. ეს მუზეუმი უკვე ათი წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე ნორჩმა წითელმა მეკვლეებმა შეაგროვეს სამი ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ასახავენ ჩვენი ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით დიდებას. დიდი ადგილი აქვს დათმობილი დიდი სამამულო ომის გმირულ ისტორიას, განსაკუთრებით კი კავკასიის დაცვის ამსახველ ექსპონატებს. ამჟამად მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით ეძებენ და აგროვებენ მე-18 სადესანტო არმიის გმირული საბრძოლო გზის ამსახველ მასალებს. ამ არმიის სარდალი იყო გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე, ხოლო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი — ლ. ი. ბრეჟნევი.

მოსწავლეებმა უკვე მრავალი უნიკალური ექსპონატით გაამდიდრეს მუზეუმის ფონდი, დღის სინათლეზე გამოიტანეს ომის ავბედით დღეებში დაკარგული ბევრი მასალა და გმირული ეპიზოდი. ექსპონატების გამოვლენის მიზნით სასკოლო მუზეუმი ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწევა: აწყობს ნორჩ მეკვლეთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, შეხვედრებს სამამულო ომის ვეტერანებთან, მე-18 არმიის ყოფილ მებრძოლებთან.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო 37-ე სკოლის ხელმძღვანელები და მოსწავლეთა ჯგუფი.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა დიდების მუზეუმის საქმიანობას; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის სახელით სკოლის კოლექტივს მიულოცა მოპოვებული წარმატებები და გადასცა მათ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი და ავტოგრაფიანი ფოტოსურათები.

მიღებაზე აღინიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი მოწმობს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იჩენს დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი მასალების შეგროვებისადმი, ამ საქმეში მოსწავლეთა მონაწილეობისადმი. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო 37-ე სკოლისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის. სამამულო ომის ისტორიის ამსახველი მასალების მოგროვება კარგი საფუძველია ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. მომავალში ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს, განვითარდეს და გავრცელდეს ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციაში.

წერილის მიღებასთან დაკავშირებით სკოლაში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანოების მუშაკები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დამსწრეებმა გულთბილად მიულოცეს ნორჩებს დიდი გამარჯვება და ახალი წარმატებები უსურვეს მათ შემდგომ კეთილშობილურ საქმიანობაში.



# ვეტერანი




ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ ბეჟუაშვილი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენელია.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღორძინების გარიჟრაჟზე სწორედ ამ გამრჯე და საქმისათვის თავდადებულმა ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი მომავალ წარმატებებს. მათი მტკიცე, დაძარღვული მუშური ხელით შენდებოდა ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და კამხალები, სწორედ ისინი აგებდნენ ელექტროსადგურებს, გაყავდათ რკინიგზები, ითვისებდნენ და სერიულ წარმოებაში ნერგავდნენ უნიკალურ ჩარხებს, სხვადასხვა ურთულეს მანქანა-იარაღებს.

მათი გაუტეხელობა, ენთუზიაზმი, უსაზღვრო პატრიოტიზმი და მუშური ჰატიოსნება თანდათან აყალიბებდა იმ ჩვევებს, იმ თვისებებს, რომლებითაც ახლა ასე ამაყობს საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი.

ძველი გვარდიის წარმომადგენლები თავიანთ ცოდნას, მდიდარ გამოცდილებას საწარმოებში მოსულ ახალგაზრდებს გადასცემდნენ. ესთაფეტა საიმედო ცვლის ხელში გადადიოდა, ძველი ტრადიციები გრძელდებოდა და უფრო ღრმავდებოდა.

ვარლამ ბეჟუაშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს მშობლიურ საწარმოს, მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი გამოზარდეს და, ხანდაზმულობის მიუხედავად, ახლაც ჩვეული შემართებით ილწვიან ქარხანაში.

ფოტომოთხრობა, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, ვეტერანი მუშის ვარლამ ბეჟუაშვილის ცხოვრებისა და შრომის შესახებ მოგვითხრობს.



1940 წელს ქარხანას სტუმრად ეწვია მიხეილ კალინინი, რომელიც წინათ ამ ქარხანაში ხარატად მუშაობდა. სხვებთან ერთად ვარლამ ბეჟუაშვილიც ყურადღებით უსმენდა მის გამოსვლას.

ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების მკვიდრი ვარლამ ბეჟუაშვილი 1928 წელს ქალაქში მისმა ახლობელმა ნათესავმა პ. ბეჟუაშვილმა (მარცხნიდან პირველი) ჩამოიყვანა. ბრიგადირი რუსლან ხადური (ცენტრში) და ვარლამ ბეჟუაშვილი ახლა სწორედ ამ განვლილ წლებზე საუბრობენ.

აი, ამ ჩარხზე მუშაობდა მიხეილ კალინინი.



საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.





ვიქტორ ჯეირანელის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ ბეჟუაშვილი კვირა დღეს თავის ნაკვეთში ატარებს.





ეს შემადგენლობა ვარლამ ბეჟუაშვილმა შეარემონტა.

ოჯახის წევრებთან ერთად ვარლამი ჩაის სახლის ხშირი სტუმარია.





# როცა იფეთქა ომის ხანძარმა...

დიდი სამამულო ომის დაწყების წინ ჩვენი სამშობლოს საზღვრისპირა რაიონებში ბევრი ქართველი ოფიცერი მსახურობდა. ზოგიერთ მათგანს თან ჰყავდა წაყვანილი ცოლ-შვილი.

როცა ომის ხანძარმა იფეთქა, ქმრები ბრძოლებში ჩაებნენ, მათი ცოლ-შვილი კი ომის უკუღმართმა გზებმა ხან სად ატარა და ხან სად.

ყველგან, სადაც კი იყვნენ ქართველი ქალები, დაუნდობლად ებრძოდნენ მტერს. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ძალასა და მხნეობას მატებდა მათ.

წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანის შესახებ გვინდა მოგითხროთ. ცხადია, ამ წერილს არა აქვს რაიმე გამოკვლევის პრეტენზია, იგი მხოლოდ ფაქტების აღნუსხვაა, უფრო სწორად, მოკლედ აცნობს მკითხველებს იმ ბობოქარ დღეთა ქარცეცხლში მოხვედრილი ზოგიერთი ქართველი ქალის ბედს.

1939 წლის შემოდგომაზე დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლების შემდეგ საზღვარი სსრ კავშირსა და ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ პოლონეთს შორის მდინარე სანზე გავიდა.

პერემიშლი — ძველი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი ორად გაიყო — სამხრეთ პერემიშლი საბჭოთა იყო, ჩრდილოეთ პერემიშლს კი ფაშისტები დაეპატრონენ.

ქ. პერემიშლში ცხოვრობდა ქუთაისელი მარიამ ეფრემიძე ქმარ-შვილით. 1941 წლის 22 ივნისს მარიამის მეუღლე — ოფიცერი ერმალო ეფრემიძე თავისი დივიზიით კიევთან იმყოფებოდა. ფაშისტების თავდასხმის შემდეგ მარიამ ეფრემიძემ ვეღარ მოასწრო ევაკუაცია და ტყუპი ვაჟებით ოკუპაციაში მოხვდა.

1971 წლის 30 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოზე, ხრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. შადრინმა მოსკოვის დაცვის მონაწილე ქართველთა შორის მოიხსენია ერმალო ეფრემიძე, რომელიც მოსკოვში 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიულ პარადში იღებდა მონაწილეობას.

ერმალო ეფრემიძე ბევრჯერ ეცადა გაეგო დაკარგული ცოლ-შვილის ამბავი, მაგრამ ამაოდ. მტერზე შურისძიების გრძნობით გულანთებული მეომარი 1942 წლის 10 თებერვალს საქართველოში მშობლებისადმი გამოგზავნილ წერილში წერდა:

„...დავიწყე ბრძოლა სისხლიანი მტარვალების წინააღმდეგ. ბრძოლით გავიარე 300 კილომეტრი, გავანთავისუფლეთ 300 სოფელი და 3 ქალაქი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. შურისძიება იქნება უფრო ძლიერი, უფრო სასტიკი“.

...1942 წელს მარიამ ეფრემიძე გაეცნო მის ბედში მყოფ ლეონინა ბებიაშვილს, რომლის მეუღლე მტერთან პირველი შეტაკებისთანავე დაიღუპა. ლეონინას ქალიშვილი ძუძუნა მაშინ წლინახევრისა იყო.

1941 წლის 22 ივნისს, დილის 5 საათზე, როცა ქ. პერემიშლი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ლეონინას მეორე ქალიშვილი — რუსუდანი შეეძინა. როდესაც ჰიტლერელებმა ქალაქი დაიკავეს, ლეონინა სამშობიარო სახლიდან გამოაგდეს. სიცხით გათანგული ქალი ორი ჩვილი ბავშვით ქუჩაში დარჩა. დაუძლურებულმა დედამ ვერ შეძლო ორივე ბავშვის ერთად ტარება და გადაწყვიტა, ისინი ხელმონაცვლეობით ეტარებინა — ჯერ ერთ ბავშვს დასვამდა დაბლა, მეორეს წაიყვანდა დიდ მანძილზე, დატოვებდა, მობრუნდებოდა და ახლა ისევ პირველი მიჰყავდა. ბოლოს, როცა რუსუდანი დაბლა დასვა და ძუძუნას წამოსაყვანად უნდა გაბრუნებულიყო, ლეონინა უგონოდ დაეცა. ამ დროს მათ თავს წამოადგა უკრაინელი ქალი, რომელმაც დედა-შვილი შეიფარა. ლეონინა მხოლოდ მეორე დილით მოვიდა გონს. როცა თვალი გაახილა, მის გვერდით მხოლოდ ძუძუნა დაინახა და არაადამიანურად იყვირა:

— სად არის ჩემი მეორე შვილი?!

— ბავშვი ცოცხალი აღარ იქნება, წავალ, დავმარხავ! — გაიფიქრა ოჯახის დიასახლისმა.

იგი მაშინვე გაეშურა ლეონინას მიერ მინიშნებული გზაჯვარედინისკენ.

ქალაქი ისევ ცეცხლის ალში იყო გახვეული. ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. ლეონინამ საწოლიდან წამოიწია და ფანჯარაში გაიხედა — ჰოი, საკვირველებავ! დიასახლისს რუსუდანი მოჰყავდა...

მოძმე უკრაინელებმა ოკუპაციის პირველ დღეებში აშკარა სიკვდილისაგან იხსნეს ლეონინა ბებიაშვილი და მისი ქალიშვილები.

ქ. პერემიშლში მარიამ ეფრემიძემ და ლეონინა ბებიაშვილმა ტყვეობიდან გაქცეული თანამემამულე სიმონ მდინარაძე გაიცნეს.

სიმონ მიხეილის-ძე მდინარაძე ქ. მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვარში დაიბადა. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში დაიწყო მუშაობა, იქვე დაოჯახდა და მალე ვაჟიშვილი შეეძინა.

როდესაც სამამულო ომი დაიწყო, სიმონ მდინარაძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იგი ლენინგრადის ფრონტზე ტყვეობაში მოხვდა და პერემიშლის ტყვეთა გამანაწილებელ პუნქტში გადაგზავნეს.

სიმონმა ტყვე პატრიოტთა ჯგუფთან ერთად მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა. იგი უკრაინელ იატაკქვეშელებს დაუკავშირდა და მათთან ერთად ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. პერემიშლში სიმონ მდინარაძე მოღალატეებმა გასცეს. ჰიტლერელები გაფაციცებით დაეძებდნენ მას, ჩხრეკდნენ ყველა ოჯახს. სიმონი იძულებული გახდა ლვოვში გადასულიყო.

მარიამ ეფრემიძე და ლეონინა ბებიაშვილი სხვა ლტოლვილებთან ერთად ფაშისტებმა პოლონეთში გარეკეს სამუშაოდ.

1944 წელს ვარშავაში მცხოვრები ქართველი ქალები პოლონელ პატრიოტთა დახმარებით კვლავ შეხვდნენ სიმონ მდინარაძეს, რომელიც ლვოვიდან დევნილი ვარშავაში გადმოვიდა.

პოლონელი პატრიოტები თავგანწირვით ებრძოდნენ ჰიტლერელებს. ამ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა სიმონ მდინარაძეც. აჯანყებულთა გაზეთში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები მისი თავდადების შესახებ.

1944 წელს, ვარშავის აჯანყების დღეებში, ქართველი ქალები მოწმენი გახდნენ იმ საშინელებისა, რომელიც ფაშისტებმა იქ მოიმოქმედეს.

ვარშავა ფაშისტებმა მიწასთან გაასწორეს. საბჭოთა ჯარების მიერ ვარშავის განთავისუფლების შემდეგ მარიამ ეფრემიძე და ლეონინა ბებიაშვილი შვილებით მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდნენ.

მშობლიურ კერას ვეღარ დაუბრუნდა ერმალო ეფრემიძე. ვოროშილოვგრადის ოლქის ქ. რუბეჟნოეს განთავისუფლების დროს იგი გმირთა სიკვდილით დაეცა. როგორც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივიდან იტყობინებიან, პოლკოვნიკი ერმალო ეფრემიძე იმ დროს ბრიგადის მეთაური ყოფილა.







ჩვენ დაინტერესდით სიმონ მდინარაძის ბედით. დავუკავშირდით მოსკოვში მცხოვრებ მის ვაჟიშვილს იურის (იგი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია), მამის შესახებ მან არაფერი იცოდა — სიმონი ომიდან აღარ დაბრუნებულა.

1970 წელს ვარშავის გაზეთ „ექსპრეს კურიერში“ გამოვაქვეყნეთ წერილი, აქვე დაიბეჭდა სიმონის სურათებიც. გაზეთს გამოეხმაურნენ 1944 წლის აჯანყების მონაწილე, ამჟამად ვარშავაში მცხოვრები პოლონელები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ გააფთრებული ბრძოლების დროს სიმონ მდინარაძე გმირულად დაიღუპა.

* * *

სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ლუბა ლებსაიამ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ჯანპუნქტში დაიწყო მუშაობა ექიმის თანაშემწედ. მალე დაქორწინდა იგი ზესტაფონელ ოფიცერ ლევან ჩუბინიძეზე.

ლევან ჩუბინიძე ბრესტში მსახურობდა. მან თან წაიყვანა მეუღლეც. ბრესტში შეეძინათ მათ ქალიშვილი თამარი.

როდესაც ჰიტლერელებმა საზღვარი გადმოლახეს, საბჭოთა ოფიცერი ლევან ჩუბინიძე ბრესტის ციხე-სიმაგრის გმირ დამცველთა რიგებში ჩადგა. ამ ჯოჯოხეთური ბრძოლების დროს მედიცინის და ლუბა ლებსაია დაჭრილ მებრძოლებს დასტრიალებდა თავზე. შემდეგ კი ლუბა და მისი გოგონა უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.

ერთ-ერთი შეტაკების დროს ლევან ჩუბინიძე მძიმედ დაიჭრა, განკურნების შემდეგ კვლავ ბრძოლის ველს დაუბრუნდა. მონაწილეობდა უკრაინის განთავისუფლებაში.

1943 წლის 17 ოქტომბერს დნეპრზე წარმოებული ბრძოლებისათვის ლევან ჩუბინიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ამავე წლის 21 ოქტომბერს იგი მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა.

* * *

...დასავლეთ ბელორუსიის ერთ-ერთ სასაზღვრო ქალაქის სამხედრო ნაწილში მსახურობდა ექიმი კონსტანტინე ბარათაშვილი. მისმა მეუღლემ ლოლა ჩხობაძემ გადაწყვიტა, მეუღლე მოენახულებინა, ორი წლის ბიჭუნა ბესარიონი კი ქუთაისში ბებიასთან დატოვა.

1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე სამხედრო ექიმი კონსტანტინე ბარათაშვილი მტრის შესახვედრად გაეშურა. ლოლა ქმართან ერთად ბრძოლის ველზე გავიდა. მალე მათ დაჭრილებით სავსე სანიტარული მანქანა ზურგისკენ წამოიყვანეს. მოულოდნელად მტერმა გზა გადაუჭრა. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. კონსტანტინემ ლოლა პურის ზვინში დამალა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ფაშისტებს ტანკები მოეშველნენ. ჰიტლერელებმა პურის ზვინები ცეცხლს მისცეს. ლოლა გამოიყვანეს და სხვა ტყვეებთან ერთად მანქანაში ჩასვეს, მაგრამ ლოლა მანქანიდან გადმოხტა და მეუღლეს დაუწყო ძებნა. დახოცილთა გვამებში კონსტანტინე შეიცნო და ქმრის ცხედარს დაემხო. ჰიტლერელები ლოლას მიცვივდნენ, ქმრის ცხედარს ააგლიჯეს და ისევ მანქანაში ჩააგდეს.

1943 წელს ლოლა ჩხობაძე სხვა ტყვე ქალებთან ერთად გერმანიაში რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. იქ იგი დაუმეგობრდა წინააღმდეგობის მოძრაობის წევრ საბჭოთა ქალებს, რომლებიც შენიღბულად ებრძოდნენ ფაშისტებს.

აი, რას წერს ცნობილი იატაკქვეშელი, კაზანელი ეკატერინე ოლვიანიკოვა თავის მოგონებაში:

„ჩვენს ჯგუფში იყვნენ მამაცი კომუნისტი ქალები — ვერა კოროხოვა, შურა სკრიჩენკო, ლიალია გრუზინკა (ლოლა ჩხობაძე — მ. კ.). კომუნისტების პარტიამ ასწავლა მათ, რომ იყვნენ გამძლენი და არ დაემორჩილონ მტერს. ისინი ფლობდნენ გერმანულ ენას, მაგრამ ამას მალავდნენ გერმანელებთან. ისინი იგებდნენ გერმანელების ზრახვებს, იმიტომ, რომ ფაშისტები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან და არც შეეჭვებულან, თუ მათ ვინმე უსმენდა, ან თუ ესმოდათ გერმანული ენა („მათ გაიმარჯვეს სიკვდილზე“, მოსკოვი, 1959 წ. გვ. 136).

ლოლა ჩხობაძე ახლა ქუთაისში ცხოვრობს. შინ მოუსვლელი კონსტანტინე ბარათაშვილის სიცოცხლეს აგრძელებს მისი შვილი ბესარიონი.

...ბედნიერი იყო ანიკო მამრიკიშვილი ვიდრე სამამულო ომი დაიწყებოდა. იგი ლენინგრადში ცხოვრობდა თავის მეუღლესთან — ოფიცერ ვალიკო გვენცაძესთან ერთად. აქვე შეეძინათ მათ ვაჟიშვილი — ალბერტი.

ომის გრიგალი რომ ატყდა, ოფიცერი ვალიკო გვენცაძე თავისი შენაერთით კლდესავით აღიმართა ლენინის ქალაქის მისადგომებთან. ლენინგრადის დაცვაში ანიკო მამრიკიშვილსაც ჰქონდა თავისი წვლილი: — თხრიდა ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს, ეზიდებოდა ქვიშას. ერთ-ერთი მორიგეობის დროს მან ლუსია იაროშენკოვასა და ქეთევან ყაზიშვილთან ერთად მტრის ჯაშუში შეიპყრო და სათანადო ორგანოებს გადასცა.

ბლოკადის მძიმე დღეები იდგა. 1942 წლის მარტის ერთ ღამეს მშიერმა ქალმა გულში ჩაიკრა თავისი პირმშო და დასაძინებლად მიწვა. ამ დროს სახლს, რომელშიც ანიკო ცხოვრობდა, ყუმბარა დაეცა და მიწასთან გაასწორა.

შენობის ნანგრევებიდან ამოიყვანეს მძიმედ დაჭრილი ანიკო მამრიკიშვილი და ჰოსპიტალში მოათავსეს. ბავშვი კი დაიღუპა. ლენინგრადის მიწამ მიიბარა გმირულად დაცემული ვალიკო გვენცაძეც.

ანიკო მამრიკიშვილი ახლა ქუთაისში ცხოვრობს. მას დიდი ხანია მოუშუშდა ბეჭის არეში მტრის მიერ მიყენებული ჭრილობა, მაგრამ რა მოუშუშებს შვილისა და მეუღლის დაღუპვით მიყენებულ გულის იარას?!

**მარგო კიკაბიძე**
ქუთაისი

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ერმალო და მარიამ ეფრემიძეები შვილებთან; ლეონინა ბებიაშვილი შვილებთან (ქ. პერემიშლი, 1942 წ.); სიმონ მდინარაძე; კონსტანტინე ბარათაშვილი და ლოლა ჩხობაძე; ვალიკო გვენცაძე და ანიკო მამრიკიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სააკაძემ სპარსეთიდან წამოყვანილი ჯარი მარტყოფის ველზე დააბანაკა, ცხენზე ამხედრდა და ლოჰინს დაუყვა სანადიროდ. იმდენად ნადირობა არ აინტერესებდა, რამდენადაც იმის მოფიქრება, როგორ დაეწყო გადამწყვეტი ბრძოლა. იქნებ მშობლიურ მიწა-წყალს შთაეგონებინა უკეთესი გზა საქართველოს გადარჩენისა?

კახეთის გზას რომ მიუახლოვდა, ვიღაც სპარსი ცხენოსანი შენიშნა. უცნობმა შორიდანვე მოჰკრა თვალი განთქმულ სარდალს, ცხენი გააჭენა, მაგრამ სააკაძემ გზა მოუჭრა და შაჰ აბასის ერთგული შათირი ამოიცნო იმ ცხენოსანში.

— თუ გადაყლაპვა მოასწარი, იცოდე, მუცელს გაგიფატრავ და ისე ამოგაცლი! მომეცი რა მიგაქვს!

შათირმა უხალისოდ გამოუწოდა უსტარი. ამ უსტარში შაჰ აბასი თავის ერთგულ ხანს უბრძანებდა, გიორგი სააკაძეს თავი მოჰკვეთე, ქართლ-კახეთი მთლიანად აჰყარე და სპარსეთში გადმოასახლეო.

სააკაძემ სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო. იმავე საღამოს მოეთათბირა თავის ერთგულ დიდებულებსა და გლეხებს და მეორე დღეს მარტყოფის ველზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა. ქართველმა მამულიშვილებმა პირწმინდად გაავლეს მუსრი საქართველოს სიცოცხლის შესაწყვეტად მომხდურ სპარსელებს.

განრისხებულმა შაჰ აბასმა შური იძია. ორიოდე წლის შემდეგ მან ნაცარტუტად აქცია ქართლ-კახეთი, განსაკუთრებით კი თბილისის შემოგარენი. აი, სწორედ მაშინ გატიალდა და უკაცრიელ ხრიოკად იქცა ნადირ-ფრინველითა და ბუნების სიუხვით სავსე ლოჰინი.

საშუალო თაობის წარმომადგენლებს კარგად გვახსოვს განახლებული სიცოცხლის აღორძინება ლოჰინ-


ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერცხების ჩაწყობა.



საჯიშე ქათმები.

ვიქტორ ჯეირანელის
ფოტო

ბრიგადირი ელზა თოდუა.





# ფრთიანი მილიონები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ში: ხეების დარგვა, პირველ მეკომურთა დასახლება, ფერმების მოწყობა... იმ მიდამოებში კი, სადაც ჩვენმა დიდმა წინაპარმა გიორგი სააკაძემ შაჰ აბასის შათირი შეიპყრო, დღეს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკაა გადაჭიმული.

ფაბრიკის თავკაცი ქალი გახლავთ. მერი მდივანი, პროფესიით ზოოტექნიკოსი.

მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას რესპუბლიკაში პირველი ადგილი უკავია. შეიძლება ვინმემ თქვას, როცა საქმე საათივით არის აწყობილი, რა მოხდა, წელგამართული ფაბრიკის ხელმძღვანელობა არცთუ ისე ძნელია: შეხვალ კაბინეტში, გაეცნობი მონაცემებს, გაესაუბრები სპეციალისტებს, საჭირო დასკვნებს გამოიტან, მიუთითებ, უბრძანებ და ესაა! აწყობილი საქმე ინერციით წავა წინ!

რა თქმა უნდა, მოწინავე საწარმოს ხელმძღვანელობა, მართლაც, შედარებით უფრო იოლია, ვიდრე ჩამორჩენილისა, მაგრამ საკითხავი ის არის, როგორ და რა ვითარებაში მოვიდა მერი მდივანი მეფრინველეობის ფაბრიკაში?

1973 წლის აპრილში, როცა მერი მდივანი დირექტორად დანიშნეს, მეფრინველეობის ფაბრიკას 631 ათასი მანეთი ზარალი ჰქონდა. წინა სამეურნეო წელს აქ ყოველი ათასი ცალი კვერცხის წარმოება 66 მანეთის ნაცვლად 83 მანეთი დაუჯდათ, ხოლო ყოველი ცენტნერი ხორცი 287 მანეთი დაჯდა, ნაცვლად 187 მანეთისა.



— ვერ შეძლებს! ქალი კი არა, გამოცდილი ვაჟკაცი რომ ჩაუყენო სათავეში, ისიც ვერ გაართმევს თავს ამ აწეწილ-დაწეწილ საქმეს! — ბუზღუნებდნენ ზოგიერთები.

ახალ დირექტორს თავისი ფიქრები ჰქონდა. პირველ რიგში უყაირათობას, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, თუ გნებავთ, ქურდობას შეებრძოლა. მოაწესრიგა შრომის ორგანიზაცია, თითოეული თანამშრომლის სულში ჩაიხედა.

საფრინველეებში მოეწყო მეფრინველეთა დასასვენებელი ოთახები, ფაბრიკის დასახლებაში გაიხსნა საექიმო პუნქტი, ამუშავდა აბანო, დაინიშნა სამარშრუტო ავტობუსი თბილისიდან...



მერი მდივანი

საქმე წინ დაიძრა. ხალისი და ფასი შეემატა შრომას. არც შედეგმა დააყოვნა: წლის ბოლოს ფაბრიკამ არათუ გადაფარა ზარალი, არამედ 48 ათასი მანეთი მოგება მისცა სახელმწიფოს.

მაინც ვერ ისვენებდა მერი. მიღწეული ზღვარი როდი იყო. ხვალინდელი დღე კიდევ უფრო მეტის გაკეთებას მოითხოვდა მისგან. ადგა და მოწინავე ფაბრიკების მუშაობის გასაცნობად, მათი გამოცდილების გასაზიარებლად სტავროპოლის ოლქში გაემგზავრა.

სტავროპოლის ოლქში დიდი პრაქტიკული გამოცდილება მიიღო. ლოჰინოელმა მეფრინველეებმა მეურნეობაში ააგეს სტავროპოლში ნანახი ახალი ტიპის საფრინველეები, რომლებმაც საუკეთესო პირობები შეუქმნეს კვერცხმდებელ ქათმებს, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქცია, დაიზოგა შრომა.

შარშან ფაბრიკამ 13 მილიონის ნაცვლად 16 მილიონზე მეტი კვერცხი აწარმოა, 125 პროცენტით შეასრულა სარეალიზაციო გეგმა, 12 პროცენტით გაზარდა შრომისნაყოფიერება, 8 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, 7 პროცენტით აამაღლა მუშის საშუალო გამომუშავება.

— ჩვენი ფაბრიკის წარმატება მისი კოლექტივის თითოეულ წევრის თავდადებული შრომით არის განპირობებული, — გვეუბნება მერი. დირექტორი მართალს ამბობს. აი, თუ გნებავთ, ავიღოთ ერთ-ერთი მათგანი. სედა გობეჯიშვილს 6.400 ფრთა მოქცეული ფრინველი ჰყავს გაპიროვნებული. თითოეულ ფრთაზე მან 223 ცალი კვერცხი მიიღო, რაც ოცი ცალით აღემატება ფაბრიკის საერთო მაჩვენებელს. ეს ნამატი დაახლოებით მილიონ-ნახევარს აღწევს, სწორედ იმდენს, რამდენსაც ამ ათიოდე წლის წინ აწარმოებდა მთელი ფაბრიკა.

ასეთი მოწინავე მეფრინველეები აქ ბევრნი არიან. ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. მათი ამოცანა ასეთია:

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აწარმოონ 18 მილიონამდე კვერცხი, კვლავაც შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, მნიშვნელოვნად გაზარდონ შრომისნაყოფიერება, მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტები მიაწოდონ ჩვენს მშრომელებს.

გიორგი პაპუაშვილი

# ბრძოლა სიცოცხლისათვის

...„ადამიანს დედობის, ცოლობის, ქმრობის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოების და ქვეყნის წინაშე და ყველაზე უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია თუ დედაკაცი", — წერდა დიდი ილია.

სახელოვან მეცნიერ ქალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნინო ჯავახიშვილს თავის უპირველეს მოვალეობად სამშობლოსა და ხალხის წინაშე სამსახური დაუსახავს და რამდენიმე ათეული წელია დაუღალავად ემსახურება თავის მიზანს.

ნინო ჯავახიშვილმა სახელოვნად გაიარა დიდი გზა ასისტენტობიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტამდე. იგი დღეს ერთ-ერთი მძლავრი მეცნიერული კერის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია (მისი ერთ-ერთი დამაარსებელი). ქართული მორფოლოგიური სკოლის სიამაყე ნ. ჯავახიშვილი 144 ნაშრომის ავტორია. მისი გამოკვლევები გამოქვეყნებულია ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში. მეცნიერი ქალი ახალგაზრდა სპეციალისტთა დიდი მეგობარია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა 12 საკანდიდატო და 14 სადოქტორო დისერტაცია. სადაც უნდა იყოს იგი — საბჭოთა ქალების თუ მშვიდობის დაცვის კომიტეტში, თუ ამომრჩეველთა შეხვედრებზე — ერთი აქვს მიზანი — ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა.

წერილში „ბრძოლა სიცოცხლისათვის" ნინო ჯავახიშვილი ჩვენს მკითხველებს ინსტიტუტის პრობლემებსა და ამოცანებზე მოუთხრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი სამი ათეული წლის მანძილზე მკვლევართა მცირერიცხოვანი კოლექტივიდან გადაიქცა მძლავრ სამეცნიერო კვლევით ცენტრად, რომელიც კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ.

პრობლემები, რომლებსაც იკვლევენ ინსტიტუტში — გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ავთვისებიანი სიმსივნეები — მედიცინაში პირველხარისხოვანი საკითხებია.

ინსტიტუტში ფართოდ არის დანერგილი სისხლძარღვთა კაპილარების კვლევის ორიგინალური მეთოდი, შემუშავებული მ. კომახიძის მიერ (1934 წ.), რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა ორგანოებისა და ქსოვილების მკვებავი სისტემის თავისებურებანი, დაგვენახა ნივთიერებათა ცვლის, კერძოდ, სისხლსა და ქსოვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მორფოლოგიური საფუძვლები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით აგვეხსნა ე. წ. „ლიგირებულთა დაავადების" მექანიზმი. სისხლის ნაკადის შეწყვეტის შემდეგ ორგანო, სხეულის მიდამო შეიძლება არ მოკვდეს, მაგრამ მისი სასიცოცხლო ფუნქციები მაინც ითრგუნება, ეს გარემოება გაუგებარი იყო, მით უმეტეს, რომ არტერიების გადაკვანძვას თან სდევს უხვი შემოვლითი გზების განვითარება. კაპილარებისა და ქსოვილების ურთიერთობის შესწავლამ დაგვანახა ის ძვრები, რომლებიც ვითარდება მაგისტრალური არტერიის გადაკვანძვის შემდეგ ქსოვილებში და რომელიც განაპირობებს ე. წ. „ლიგირებულთა დაავადებას".

თეორეტიკული თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა გულის კუნთში გამოვლინებული წარმონაქმნები — სინუსოიდები, რომელთა სახეცვლილების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება მიოკარდიუმში სისხლის უკუდინების არსებობის შესახებ. ეს გამოკვლევები აღიარებულია სხვათა მიერაც საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით დასაბუთებულია გულის იშემიური დაავადების მკურნალობის ზოგიერთი მეთოდის მიზანშეწონილობა.

ინსტიტუტში ფართოდ შეისწავლება გულის კუნთის პათოლოგია, განსაკუთრებით კვლევის ელექტრონული მიკროსკოპიის და სხვა უახლესი მეთოდების დანერგვის შემდეგ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. ცაგარელმა გამოავლინა მიოკარდიუმში განვითარებული ულტრასტრუქტურული და ჰისტოქიმიური ცვლილებები, როგორც სისხლის მიმოქცევის ადგილობრივი მოშლის, ისე ჟანგბადის უკმარისობის პირობებში; ხოლო ახლა მისი ხელმძღვანელობით შეისწავლება სისხლში ჟანგბადის ჭარბი გაჯერების გავლენა გულის კუნთზე.

საფუძვლიანი ექსპერიმენტული კვლევაა ჩატარებული ფილტვის სისხლის მიმოქცევის შესწავლის მიმართულებით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის თ. ღიბრაძის მიერ.

ასევე მნიშვნელოვანია ექსპერიმენტული კვლევა სისხლძარღვთა შემცვლელების შედარებითი შეფასების სფეროში. გულისა და სისხლძარღვთა ქირურგია, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ჯერ კიდევ არ გასცილებია ცდისა და ძიების პერიოდს, ამიტომ ექსპერიმენტალურ კვლევას ამ დარგში დიდი ხვედრითი წონა აქვს.

პირველად ინსტიტუტში გამოვლინებულია ახლად განვითარებული სისხლძარღვთა ქსელი, სისხლძარღვთა ხელოვნური შემცვლელების შიგნითა გამონაფენში. ამ ფაქტზე დაყრდნობით ახსნილია არტერიების ხელოვნური პროთეზების დახშვის მიზეზი მოგვიანებულ ვადებზე.

ინსტიტუტს პრიორიტეტი აქვს ვენის არტერიის შენაცვლების საქმეშიც.

თეორეტიკული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პროფ. უ. გაბუნიას ხელმძღვანელობით წარმოებულ გამოკვლევას, რომლის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, შემოწმებული მორფოლოგიური კვლევის მრავალი ურთიერთგამაკონტროლებელი მეთოდით, რომ სიმსივნურ, კერძოდ, ძუძუს კიბოვან უჯრედს, უნარი აქვს შეიმუშაოს საყრდენი ქსოვილის ელემენტებიც.

უახლესი მორფოლოგიური კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა სიმსივნური ზრდის უაღრესად ადრეული ნიშნების დიაგნოსტიკა, არა მარტო სიმსივნის ადრეულ სტადიებზე, არამედ ე. წ. პრეკანცერომული (კიბოსწინარე) დაავადებათა კერებშიც, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამკურნალო პრაქტიკაში.

პროფ. გ. თუმანიშვილი და მისი მოწაფეები წლების მანძილზე სწავლობენ უჯრედთა ურთიერთქმედებას. დადგენილია, რომ უჯრედის ბირთვი და ციტოპლაზმა მათ ზრდა-გამრავლებაზე ურთიერთ საწინააღმდეგო-შემაკავებლად და მასტიმულირებლად მოქმედებენ. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთის მოქმედებით შესაძლებელია, სათანადო ქსოვილის ზრდა-გამრავლების დაჩქარება ან შენელება. ეს გამოკვლევები დღეისათვის ექსპერიმენტის სფეროს არ გასცილებია, მაგრამ ნათელია მათი გამოყენებითი პერსპექტივა.

ინსტიტუტში ექვსი განყოფილება და სამი კაბინეტია. გარდა ამისა, ინსტიტუტში სამ წელზე მეტია მუშაობს სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ჯგუფი აკადემიკოს მ. კომახიძის ხელმძღვანელობით. მათი კვლევის საგანია ორგანოებსა და ქსოვილებში სისხლის მიმოქცევის ცვლილებათა შესწავლა, ე. წ. ტერმინალურ მდგომარეობაში, ე. ი. სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე მყოფ ორგანიზმში (ამ შემთხვევაში რბილი ქსოვილის ხანგრძლივი ზეწოლის დროს).

აღნიშნულ მიღწევათა აღიარებაა ინსტიტუტის ბაზაზე საკავშირო მასშტაბის ცხრა მეცნიერული ფორუმის, სიმპოზიუმის, კონფერენციისა და საკავშირო ყრილობის ჩატარება, ინსტიტუტის თანამშრომელთა ფართო მონაწილეობა საკავშირო თუ საერთაშორისო მეცნიერულ შეკრებებში, სადაც არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებული ესა თუ ის თეორეტიკული დებულება.

ინსტიტუტს მეცნიერულ-შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებასა და სამეცნიერო საზოგადოებასთან: ანატომთა საერთაშორისო ასოციაციასთან, სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტთან, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტთან და სხვა.

დღეს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა უფრო ინტენსიურად ვაწარმოოთ მეცნიერული კვლევა სახალხო მეურნეობის ძირითად საკითხებზე. აქედან გამომდინარე, ინსტიტუტი აგრძელებს ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებზე მუშაობას, ამასთანავე მიზნად ისახავს ფართოდ გაშალოს მუშაობა გერონტოლოგიის სფეროში.

სიცოცხლის გახანგრძლივება ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა. ჩვენ ყოველთვის დიდი ყურადღებით აღვნიშნავთ ამ სფეროში მიღწევებს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი და სახარბიელო, თუ პიროვნება ფიზიკურად შენახულია.

ნინო ჯავახიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

თამბაქოს მოსავალი.

# ქეთო ანდრონიკაშვილი



ბოსტანში.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნინო ჯავახიშვილი და ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო

# ბრძოლა სიცოცხლისათვის

მარცხნიდან: ციტოლოგიის განყოფილების გამგე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ. ცაგარელი და მეცნ. თანამშრომელი მ. დგებუაძე; ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილების გამგე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. ღიბრაძე და მეცნ. თანამშრომელი ი. კაშია; პათომორფოლოგიური განყოფილების გამგე პროფესორი უ. გაბუნია და მეცნ. თანამშრომელი თ. სულავა; მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები: ა. ბორჯაძე, ა. ღლონტი და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფი.













ეროვნული ბიბლიოთეკა

# შალვა ცხადაძე

ილუსტრაციები
საბავშვო წიგნებისათვის







# შალვა ცხადაძე

შეუძლებელია შალვა ცხადაძე, როგორც საბავშვო წიგნის მხატვარი და როგორც პიროვნება ერთმანეთს დააშორო, რადგან მისი დამოკიდებულება წიგნის გმირებისადმი — მცენარეთა თუ ცხოველთა სამყაროსადმი, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, ხანდახან, რეალური სამყაროს ხაზი, ფორმა, ფერი, ჰარმონია დარღვეულია, მაგრამ სასიკეთოდ, საზღაპროდ, ბავშვებზე უფრო მეტი ემოციის მოსახდენად.

მაინც როგორია ეს დამოკიდებულება, რა არის წინა პლანზე შალვა ცხადაძის ნახატებში? ესაა გაცოცხლება-გაადამიანურება ცხოველთა სამყაროსი, ამასთან, ცხოველებში ხაზგასმულია მათი დამახასიათებელი დადებითი ნიშნები. ადამიანი ხომ ბავშვობიდან იწყება. სწორედ ბავშვობაში ითესება სიკეთე. რომელიც წლების შემდეგ გამოჩნდება ხოლმე. უცილობლად იცის ეს შალვა ცხადაძემ! ამიტომ არიან მისი კუდფაფუკა მელიები ასე ჭკვიანნი და მოხერხებულნი, კურდღლები კი ბაჭია-შვილებზე გადაგებულნი. ჩექმებიანი კატა ნამდვილი რაინდია. დათვები კი ბრიყვები არიან. რას იზამ! თანაც მათ მუცელზე ლურჯ ახალუხს ვერაფრით ვერ მოარგებ, იმიტომ, რომ ღორმუცელებიც არიან!

და ამახსოვრდებათ მალხაზ ბიჭუნებსა და ცქრიალა გოგონებს არა მტაცებელი, გაიძვერა, მხდალი ცხოველები, არამედ პრანჭია კატები, გრაციოზული ჟირაფები და წეროები, მეოცნებე ლოკოკინები, კუდბუთქუნა მელიები, ბაჯბაჯა დათუნიები... ჩამოთვლაც კი გაჭირდება იმ გმირების, იმ ზღაპრებისა თუ ლექსებისა, შალვა ცხადაძეს რომ აქვს გაფორმებული. აღარაფერს ვამბობთ ჟურნალ „დილაში" ოცდაათი წლის მანძილზე სიყვარულით გაფორმებულ გვერდებზე. მანვე შემოიკრიბა ჟურნალის გარშემო გამოჩენილი მხატვრები და აღზარდა დიდი რაზმი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრებისა.

საქართველოში ფაქტიურად საბავშვო წიგნის მხატვრობას მხოლოდ ოთხი ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მისი თავფურცელი იოსებ გაბაშვილმა გააფორმა — გააფორმა იგი მკაფიო ეროვნული კოლორიტით, დიდი ფანტაზიითა და იუმორით, ლამაზ გამათა ჰარმონიით. ნათელ გაზაფხულს ყოველთვის მცხუნვარე ზაფხული მოსდევს ხოლმე. ეს ზაფხული სწორედ შალვა ცხადაძემ მოიყვანა ქართულ საბავშვო მხატვრობაში. მოიყვანა საქმისადმი უზადო, ფაქიზი დამოკიდებულებით. მხატვარმა ისე დამაჯერებლად აამეტყველა ცხოველთა სამყარო, რომ სულ აღარ გიკვირთ შალვა ცხადაძისა და პოეტ გივი ჭიჭინაძის საოცრად კეთილი „დათუნია დრუნჩას" საქციელი.

...აი, ზის დათუნია დრუნჩა, სევდიანი, დაფიქრებული, მის უკან კი, გადაჭრილი ხის ფესვიდან, მწვანე ყლორტს გზა გამოუკვლევია და ამოფეთქებულა. ეს სიკეთის ყლორტია და დედებს, შესაძლოა, არც კი დასჭირდეთ მასზე ლაპარაკი, ისე მეტყველია იგი, ისე ხელშესახები.

საუბარში შალვა ცხადაძეს ვკითხეთ:

— ბატონო შალვა, ფლორას საგანგებოდ ხომ არ სწავლობდით, ყვავილებს მოჭარბება რომ არის თქვენს წიგნებში, საიდან იცით ასე კარგად?

— არა, საგანგებოდ არ მისწავლია, არც კი ვიცი, საიდან ვიცი, — მისთვის ჩვეული მოკრძალებითა და იუმორით გვიპასუხა მხატვარმა.

...ყვავილები კი ნაირფერად კიაფობენ პატარა სახელოსნოს კედლებიდან და ბავშვებს სიკეთეზე, სილამაზეზე, სიყვარულსა და სიფაქიზეზე ესაუბრებიან...

ჯ. ქორიძე

„დროშის" №1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 1. ლონდონი. 3. რკო. 5. სიონი. 6. არაკი. 8. ფიჭვი. 9. ალიბი. 11. მაჩვი. 13. ირანი. 15. ჭადრაკი. 17. დროშა. 18. იახტა, 20. „ჭიაკოკონა". 21. ომსკი. 23. დიუმა. 24. იზოტოპი. 25. ილორი. 27. ასთმა. 28. ამური. 30. პოემა. 31. ნერვი. 33. კონკა. 34. ლოქო. 35. რომი. 37. ახო. 38. აისი. 39. აზია. 40 ალაზანი.

ვერტიკალურად: 1. ლამბი. 2. „ისკრა". 3. რეგბი. 4. „ორერა". 5. სელი. 7 ინდი. 8. ფარა. 10. ილფი. 11. მეგრელი. 12. არქონტი. 14. იაპონია. 15. ჭრილი. 16. იანკი. 17. დრო. 19. არა. 22. ილია. 23. დუმა. 26, ილინოისი. 27. ალსარება. 29. „ილიადა". 30. პიკასო. 32. იკორთა. 33. კაპური. 34. ლირა. 36. იდეა.

# დედაქალაქის მაჯისცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული. დასაწყისი იხ. 1 38.)

— თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია. რამდენი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს ჩვენს ქალაქში?

— თბილისი ჭეშმარიტად ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქალაქია. ამ ქალაქში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და შრომობენ მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

1970 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისში ცხოვრობდა 511.379 ქართველი, 150.205 სომეხი, 124.316 რუსი, 21.797 ოსი, 19.579 ებრაელი, 18.409 ქურთი, 10,810 აზერბაიჯანელი, 10.600 უკრაინელი, 10.696 ბერძენი...

საქართველოს დედაქალაქში, რომლის ფართობი 34.860 ჰექტარს შეადგენს, 1970 წლის საკავშირო აღწერის დროს 103 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი აღიწერა.

— როგორია თბილისის ხვედრითი წილი მთელი საქართველოს მიმართ?

— თბილისის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელი საქართველოს მოსახლეობის მიმართ შეადგენს 20,4 პროცენტს.

თბილისზე მოდის მთელი ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების 32,1 პროცენტი.

თბილისი არის საქართველოს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, მთელი ერის კულტურის უდიდესი კერა.

თბილისში 11 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 61.250 სტუდენტი სწავლობს. ქალაქში მუშაობს 119 სამეცნიერო დაწესებულება. ამ კეთილმოწყობილ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სამეცნიერო დაწესებულებებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 19.015 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 1.022 დოქტორია, 5.540 სხვადასხვა მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია 64 აკადემიკოსსა და 49 წევრ-კორესპონდენტს აერთიანებს.

თბილისში გახსნილია 227 საშუალო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 177.019 მოსწავლე. 18.663 მოსწავლე სხვადასხვა სპეციალურ სასწავლებელში ეუფლება ცოდნას.

1970 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისში 10 წლის ასაკის ზევით 743.007 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან უმაღლესი განათლებით იყო 131.769 კაცი, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით — 33.498 კაცი. სპეციალური საშუალო განათლება მიღებული ჰქონდა 53.472 კაცს, საშუალო განათლება — 213.510 კაცს.

თბილისში 101 მასობრივი ბიბლიოთეკაა, 34 საკლუბო დაწესებულება, 67 კინოდანადგარი, 15 მუზეუმი, 9 თეატრი.

განუზომელია ის დიდი წვლილი, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისს შეაქვს მთელი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურში.

— მილიონიანი ქალაქის — თბილისის შესახებ სხვა რა საინტერესო ცნობები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ?

— ძალიან ბევრი. თუ გნებავთ, საცხოვრებელი ფონდიდან დავიწყოთ. 1926 წელს თბილისის საერთო საცხოვრებელი ფონდი 2.869.000 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, 1973 წელს კი — 11.175.400 კვადრატულ მეტრს.

თბილისის მცხოვრებთა 53 პროცენტი ქალთა სქესის წარმომადგენელია, 47 პროცენტი მამრობითი სქესისაა.

1970 წელს თბილისში 210.250 ოჯახი ცხოვრობდა და ერთ ოჯახზე საშუალოდ 3,8 სული მოდიოდა.

ქალაქში ყოველწლიურად საშუალოდ 10.230 წყვილი ქორწინდება.

შარშან თბილისში 17.145 ბავშვი დაიბადა.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში ნახევარ მილიონამდე მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს. თითოეული თბილისელი — იქნება ის მუშა თუ ინტელიგენციის წარმომადგენელი, თავდადებით შრომობს და იღწვის. თბილისში, ისევე როგორც ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ იმ დიად მიზანდასახულობათა წარმატებით შესასრულებლად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა ჩვენს ხალხს.

დასასრულს, მინდა კიდევ ერთი სასიამოვნო ციფრი ვაცნობო ჟურნალ „დროშის" მკითხველებს: მომავალ წელს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ ადამიანს მიაღწევს!

სერგო კლდიაშვილი

## გულკეთილი მეტიჩარა

უეცრად მზის დაბნელება დაიწყო, ჩამოღამდა. გაუჩინარდა ტყიანი გორაკები, მინდვრები, ბაღები. თვალს მიეფარა ყველაფერი, რაც დღის სინათლეზე ადამიანის გულს ახარებდა. მთელი გარემო ბნელმა ჩაყლაპა.

სად იყო, სად არა, ციცინათელა გამოძვრა ბუჩქებიდან.

— მე აქ არა ვარ?! — თავმომწონედ თქვა გუნებაში, — ახლავე გავანათებ აქაურობას!

უმალვე ფრთები გაშალა და ფრენა იწყო.

შორს განავარდებას აპირებდა, მაგრამ ახლაც მოულოდნელად ზევით, ცაში ისევ გაბრწყინდა მზე და ბნელიც გაქრა. განათდა და მაშინვე თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ გორაკები, მინდვრები, ბაღები.

ამის შემდეგ ციცინათელას ისღა დარჩენოდა, რომ მიწაზე დაშვებულიყო, მოძებნა ბუჩქი და შიგ შეძვრა.

არცთუ სიამოვნებდა მზის გამოჩენა, მაგრამ გულს არ იტეხდა.

— იმიტომ იჩქარა დაბრუნება, რომ შეშინდა, მეტოქე გამიჩნდაო? მაშ, რა ეგონა, ქვეყანას უსინათლოდ დავტოვებდი?! ნურას უკაცრავად, ამიერიდან სადაც თავისი დაიკვეხოს, იქ ჩემიც ახსენოს!

ციცინათელა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ვაჟკაცობით, კარგ გუნებაზე დადგა და მალე ტკბილად ჩაეძინა.



ახლაოდა, თქვენ იტყვით, მეტიჩარა ყოფილა და ტრაბახიც ჰყვარებიაო. თუნდაც აგრე იყოს, რა მოხდა მერე?! მაინც ვაპატიოთ, ასეა თუ ისე, კეთილი გულით ტრაბახობდა, ავით ხომ არა?!



## მოაზროვნე ღამურა

გოგომ და ბიჭმა, ორივე პატარამ, მთელი დღე ბუნებაში გაატარეს. შინ დაბრუნდნენ ახალდაბინდებულზე და უფროსებს უამბეს ყველაფერი, რაც იქ ნახეს: ცა იყო ფირუზისფერი, მინდორი ყვავილებით აჭრელებული და ბევრი დიდი პეპელა, რომლებიც ყაყაჩოებზე ისხდნენ...

ბავშვების აღტაცებული ტიტინი სხვენზე ფეხებით თავდაყირა ჩამოკიდებულ ღამურას ესმოდა. ის ახლად გაღვიძებული იყო, ძალიან შიოდა და ბინდის მოძლიერებას ელოდებოდა, რომ მწერებზე სანადიროდ გასულიყო.

ღამურას კარგად ახსოვდა ბავშვების ნაამბობი და აქედანვე უხაროდა გულში, რომ მინდორზე ბევრ პეპელას დაიჭერდა და გამოძღებოდა.

დაღამდა თუ არა, ღამურამ დატოვა სხვენი, გარეთ გაიჭრა, შემოიარა მინდორი, იფრინა ფერდობზე, მაგრამ ორი-სამი პატარა პეპლისა და რაღაც მწერის გარდა ვერაფერი მოინადირა.

იმედი რომ გაუცრუვდა, ისევ სხვენს მიაშურა, თავდაყირა ჩამოეკიდა და ცუდ გუნებაზე მყოფმა ბრაზიანად გაიფიქრა:

„პირდაპირ საოცარია, რამდენი ტყუილი იცის ადამიანმა... რას არ იტყვიან, რას არ მოიგონებენ! მაგრამ ეს მე ვარ ბრიყვი და მიამიტი, ბავშვების მონაჭორი რომ დავიჯერე... აბა, მითხარით, სად შეეფეთნენ იმ რაღაც ჭრელ ყვავილებსა და ფერად-ფერად პეპლებს?! ან რას ნიშნავს, ვერ გამიგია, ეს რაღაც წითელი, ცისფერი ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი?! რატომ ვერ მივხვდი, რომ ბავშვებმა ჩემს გასაპამპულებლად გამოიგონეს ის რაღაც ფერები!.. ისე გამაბრიყვეს, თითქოს არ ვიცოდე, რომ ყველაფერს მუქი, შავი ფერი ადევს!“

კარლო კოზერიძე

(ესკიზი)

ახლა რაღა ბიჭი ეთქმის! — მოძალებული ჭაღარა და შუბლიდან ჩამოშლილი ნაოჭებიც ერთსა ყვირის მარტო — კაცია უკვე! მაგრამ სოფელში რომ ჩადის და მეზობლებთან დასახმაურებელი მიკითხვ-მოკითხვას ცოტა რომ შეაგვიანებს ხოლმე, დედამისი აივანზე გადადგება და დაქანცული ხმით გასძახის:

— კახა, ბიჭო, დაღამდა შვილო, დაღამდა!

გაიგონებს დედის ხმასა და, რა გადაუდებელი საქმე უნდა ჰქონდეს, მაშინვე არ მიატოვოს:

— რას იზამ, ბრძანებაა, ჩემო ძმაო!..

შორს, ასე სასიკეთოდ შორს — პატარაობისას, დაინახავდნენ დიდები და, თუკი მეხსიერება ეჭვის სასწორს ახრიდ-დახრიდა, ჰკითხავდნენ:

— შვილო, შენ ნინოს ბიჭი არა ხარ?

ისა ვარო, უპასუხებდა და ორ ნაბიჯზეც არ გაიყოლებდა წყენას: მამა ისე ადრე დაეღუპა, თვალმა და გულმა ვერ შეიგრძნო, ვერ შემოუნახა აქამდე. ცრემლით გამდნარ, საკერებლებით აჭრელებულ დედის კალთაში გაიზარდა და დედის ბიჭსაც ამიტომ ეძახდნენ. ეს ამბავი სხვაზე უკეთ თვითონ იცოდა და მიზეზიც ეს იყო, რომ სასაყვედუროდ არც მაშინ დაუშვია წარბები.

დრომ სიდუხჭირესა და გასავლელი გზის შიშში ჩაიარა; ბევრი რამ, საბედნიეროდ, მარადიულ ჩრდილში მოაქცია. ერთი კი საოცრად ნათლად ახსოვს; ალბათ, ყველა დანარჩენმა წუხილმა თუ ვაი-ვიშმა იმ ერთში მოიყარა თავი. ზოგჯერ დღევანდელობის სიკეთიდან გახედავს და ეღიმება. თუმცა ამ ღიმილში უფრო მეტი წუხილია, ვიდრე იმ უცაბედი ელდისას, ამდენი ჯახირით შელონებული გული ხელის კანკალით რომ ასმევს „კორვალოლის“ წვეთებს... ის ერთი უფრო სოფელში ცოცხლდება ტკივილად, საცოდაობად, შვილებისათვის დაუჯერებელ ამბად; ცოცხლდება მაშინ, როცა მარანში ჩასასვლელად საჩეხის ქვის დირეს გადააბიჯებს ხოლმე. ვიდრე მარანში შევა, მარჯვენა წაბოლილი კედლისკენ გაექცევა თვალი და ჩერდება: აქ ერთხელ ზედადგარზე შემოდგმული გვერდებშეჭყლეტილი, უხუფო ქვაბი ნელ-ნელა უშვებდა ორთქლს, ნედლი ლელვის შეშა უგემურად ხრჩოლავდა. ცეცხლთან, სამფეხა დაბალ სკამზე დედა იჯდა და ქვაბში მალი-მალ იხედებოდა — შიგ, ნათესავისაგან ნაყიდი, დაკეპილი ცხვრის დუმა დნებოდა. ბიჭი მოშორებით ჩაცუცქულიყო და დედის ჩანაღვლიანებულ, უძილობით გაფითრებულ სახეს აკვირდებოდა. ბიჭს ძალიან, ძალიან ეჭავრებოდა ცხვრის დუმა, მაგრამ მთელ წელს ადევნებული მშრალი ხველება, ხაზებად გამოკვეთილი ნეკნები,



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

# დაკარგული ბედნიერება

ველზე ხეტიალის შემდეგ ბაყაყებმა დაღამებისას ხტუნვა-ხტუნვით და სიხარულით მიაშურეს შეჩვეულ გუბეს.

მაგრამ ეს სიხარული სულ მალე მწუხარებამ შეცვალა. მიადგნენ თუ არა სანატრელი ტბორის ნაპირს, დაინახეს, რომ ფსკერის სიღრმიდან დიდი შუქი ამოდიოდა და მთელი გუბე გაენათებინა.

— ავაი, ავაი! — თათები დაიშინეს თავში და სასოწარკვეთით აყიყინდნენ, — ვინ ხართ ჩვენი გამკითხავი, ეს რა უბედურება მომხდარა? მთვარე ჩავარდნილა ჩვენს გუბეში!



დიდხანს ივაგლახეს, სახეს იხოკავდნენ და მოთქვამდნენ ბაყაყები.

მაშინ დიდმა ბაყაყმა, რომელიც ბრძენად იყო მიჩნეული, ისკუპა ქვაზე და სიტყვით მიმართა თანამემამულეთ:

— ძვირფასო მეგობრებო, ძმებო და დებო! ვაი-ვიშით და ყიყინით ვერაფერს გავხდებით. სჯობს, იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ ვუშველოთ თავს. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ სხვა უბედურებაც მოგველის. ახლა მთვარეს ვარსკვლავებიც მიბაძავენ და ყველანი ამ ჩვენს გუბეში ჩამოცვივდებიან. ეს კიდევ არაფერი, მალე, ალბათ, ადამიანები მოვლენ და მთვარისა და ვარსკვლავების ამოსაღებად მებადურებს მოიყვანენ. ვაითუ იმავე ბადით ჩვენც დაგვიჭირონ და სადმე ხრიოკი მიგვიჩინონ საცხოვრებლად... ისღა დაგვრჩენია, ახლავე ვუშველოთ თავს და სხვა გუბე მოვძებნოთ ამ ჭაობში!

— ავაი! — გოდებდნენ გამგონენი, — სად მოინახება ჩვენ გუბესავით მომხიბლავი ადგილი?! სად ვიპოვოთ ასეთი ბედნიერი სამყოფელი!

ასე გოდებით და ზარით გაშორდნენ იქაურობას. ის კი ვერავინ მოისაზრა, რომ გუბეში ჩანდა მხოლოდ ანარეკლი იმ მთვარისა, რომელიც ზევით ცაში ბრწყინავდა!

# ბედსვიანი წრუწუნა

გრძელკუდა თაგვი ზოოპარკში შეკუნკულდა. გაძვრა-გამოძვრა, მიყნოს-მოყნოსა ყველგან. შვლის ნუკრისათვის დადგმული გობიდან რძიანი ფაფა ათქვლიფა, აქლემის ბაგასთან ქერი იგემა, წყალში ჩალბობილი პურის ნაჭერი ყანჩას დაცინცლა, სხვასაც ესტუმრა, სხვაგანაც მიირთვა და ისე გამოძღა, მუცელი გაბერილი ტიკივით გაუხდა.

მეტი აღარ შეეძლო და ზოოპარკში გასეირნება მოინდომა.

ერთგან უეცრად დაინახა, რომ შემოღობილში უზარმაზარი შავკანიანი ცხოველი იდგა. მისი მსგავსი არსად ენახა და გაოცებული შეჰყურებდა.

ეს უცხო ცხოველი თითქმის გორაკის სიმაღლე იყო. ოღონდ ამ გოლიათს რატომღაც თოკივით წვრილი და მოკლე კუდი ჰქონდა. ისე მოკლე, რომ გინდ ჰქონია, გინდ არა — სრულიად არაფრის მოსახმარისი და არაფრის მაქნისი. სირცხვილიცაა ასე მოკლე კუდს დაატარებდე!

მაგრამ ამაზე უფრო საკვირველი და სამარცხვინო სხვა რამ იყო: ისეთი გრძელი ცხვირი მობმოდა, აგერაც მიწამდე წვდებოდა.

ჯერ გაშტერებული, გაოცებული მ.სჩერებოდა წრუწუნა, ბოლოს კი



ერთბაშად მთელი თავისი წრიპინა ხმით გადაიხარხარა:

— ეს რა ვნახე, თქვენი ჭირიმე! — თავშეუკავებლად იცინოდა წრუწუნა, — ნუთუ შეიძლება ამგვარი სიმახინჯე არსებობდეს?!

იმდენი იხარხარა, კინაღამ გული გაუსკდა.

სიცილით რომ იჯერა გული, მოლბა, განაზდა, შეცოდებით შეავლო თვალი გოლიათს და დაიწრიპინა:

— ზოგჯერ რა უსამართლო ყოფილა ბუნება... ზოგს არ დაინდობს და ქვეყნის სასაცილოდ გახდის, ზოგს კი ძალიან ლამაზსა და მომხიბლავს გაგვაჩენს... ეხ, რაც არის, არის. ღვთის ნებაა, რას იზამ?! ბედსვიანი დავიბადე და არ მეკადრება ბუნებას ვუსაყვედურო რაიმე... მადლობა უფალს, იმ მახინჯ გოლიათს რომ არ დამამსგავსა... მადლობა უფალს!

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ექიმის მამაშვილური რჩევა-დარიგება და დედის ცრემლნარევი ხვეწნა-მუდარა აიძულებდა, გამდნარ დუმაში ჩაფუშხვნილი მჭადი ეჭამა.

როცა ცხვრის დუმა შიშინს მორჩა და ტკაცა-ტკუცი დაიწყო, დედა მარანში შევიდა, წოწოლა, კილოიანი ქილა გამოიტანა და შიგნი-გარეთ საგულდაგულოდ გახეხა ფუჩეჩით. მერე ქილა დააპირქვავა — დაწრიტა, ცხელი ქვაბი ხეხვით გაცრეცილი ფუჩეჩით გადმოიღო და დუმა იმ ქილაში გადაწურა... ქვაბს შედგამდა ზედადგარზე, ცოტა ხანს დააცლიდა და ისევ გადაწურავდა. იმდენჯერ შედგა და გადმოიღო, ვიდრე ხიწიწი მთლად არ გაყვითლდა და დანახშირდა. აქედან აღარაფერი გამოდნებაო და ქვაბი წუწუნით რომ გადაამხო ქილას, გამშრალმა ფუჩეჩმა ცეცხლის სიმწვავე ველარ შეაჩერა და თითები აეწვა. აჩქარებით უბერავდა და ატოკებდა თითებს. ქვაბის გვერდზე გადასადგმელად ოდნავ შებრუნდა, ჩაფართხუნებული კაბის კალთა ქილას წამოსდო და წააქცია. ბიჭი მაშინვე ქილას ეცა, მაგრამ შიგ აღარაფერი იყო! გამდნარ დუმას მარნის კარამდე არ მიუღწევია — დახეთქილმა მიწამ ნაღვენთივით შეისრუტა ერთბაშად... დედამ ცარიელი ქილა და ცხვრის დუმის ნაკვალევი რომ დაინახა, თმებში იტაცა ხელი:

— ვაიმე შვილო! — მუხლები მოეკვეთა, მიწაზე ჩაჯდა და აქვითინდა.

ბიჭსაც გული ამოუჯდა, ქილა მოისროლა და კედელს მიაფშვნა:

— მე ამისი!..

მერე დედასთან მივიდა, ისიც ჩაჯდა და კალთაში ჩაუდო თავი.

დედამ სუსტ მხრებზე ხელი მოუსვა ბიჭს, თავი ააწევინა და გულზე მიიხუტა:

— ვაიმე, შვილო!.. შვილო, შვილო, შე უბედურ დღეზე გაჩენილო!

მაგრამ ამ მოთქმას მეზობლები ყაყანითა და ბუხუნით არ წამოუყვანია—მაშინ ომი იყო და საკვირველებად მხოლოდ ქორწილ-ძეობები ჩანდა, ყველას თავისი ჭირ-ვარამი და ვაი-ვიში ჰყოფნიდა.

ბიჭს ახლაც კარგად ახსოვს რამდენ ხანს ტიროდნენ ორივენი, როგორ წამოდგა დედა, როგორ აიარა მორყეული კიბე, როგორ შეისხა სახეზე წყალი და როგორ ჩაუჯდა საკერავს. ისიც კარგად ახსოვს, დედას მაშინ რომელ ხელზე ჰქონდა გაარჯლებული განაკაწრი, და კიდევ ისიც: სად იდგა გვერდებშეჭყლეტილი, უხუფო ქვაბი, სად — ნათხოვარი ზედადგარი...

იმ წელს — გაჭირვებამ სხვა გამოსავალს ველარ მიაგნო და ბიჭი თოხზე მიუშვეს. ისიც გამოუსვლელად ტრიალებდა სათოხარში. მერე თავის ტოლ, უმამო ბიჭებს ამოუდგა გვერდით, ზოგიც თვითონ ამოიყენა და დაიწყო ხალისიანი, მოუღლელი ნაცვალგარდა მუშაობა. მალე ის მშრალი ხველებაც დაიკარგა და ნეკნების გამოკვეთილი ხაზებიც.

ჭერქვეშ თაგვი მოუმრავლდათ. თაგვს კატა მოჰყვა. ეზოში ბომბორა ლეკვმა ბრაზიან კრუხებთან მოინდომა თამაში.

მარანს ქალაქიდან ჩამოტანილი უცნაური კლიტე დაადეს.

...მოვლით გათამამებულ, გალაღებულ ვენახს ბალახი ისევ მოედო — ბიჭი ქალაქში წავიდა სასწავლებლად, დედის ხელი კი ვერ აუვიდა კაჭახმოწოლილი მიწის გამოულეველ ვედრებას.

ბიჭს ჩავლილი, ჯერჯერობით მოუშორებელი წუხილი დაუბრუნდა—ისევ უჭირდა, ძალიან უჭირდა თავის გატანა. ხანდახან ერთადერთი მეგობარი თუ ჩამოაკითხავდა,—ეს იყო და ეს! ნათესავები არც მანამდე იხარჯებოდნენ, ახლა ხომ მთლად დაივიწყეს — წიგნს გადაეგო, ვის რაში გამოგვადგებაო. ამგვარი ანგარება ბიჭისთვის არასოდეს ყოფილა უცხო,ამიტომაც ყოველთვის ღიმილით ისმენდა შინაურთა ამ მიმატება-გამოკლებას. მარტო დედას სწამდა მისი — რასაც იშოვიდა თუ იპოვიდა, ყველაფერს შვილთან მიარბენინებდა ქალაქში. შვილისთვისაც აი, ეს რწმენა იყო მთავარზე მთავარი, ეს რწმენა უბიძგებდა იქით, საიდანაც ტელევიზორს მიშტერებული შვილებისთვის პურნაკლულობა მხოლოდ წიგნიდან გაცოცხლებული ზღაპარია, ბიჭისათვის კი — ულონო ასაკის ცოდვა-მადლი...

გრძელ არდადეგებზე სხვები მთა-ბარს რომ მოედებოდნენ დასასვენებლად, ბიჭი ვენახის მოსაბრუნებლად გარბოდა სოფელში. იმ სხვებს საშემოდგომოდ, ღონიერი მამების წყალობით დასვენებული ჯანი და ჭრელი თავგადასავლები ჩამოჰქონდათ, ბიჭს კი — დაცოტავებული ჯანი და დაკოჟრილი ხელები.

სწავლას ერთი პიჯაკითა და სამადლო სტუდქალაქით დაადგა საშველი.

ბიჭი სახლ-კარს მიუტრიალდა, ვენახს მადლი და ბარაქა დაუბრუნა და ახალი პიჯაკის საყიდლადაც მიდგა-მოდგა, ოღონდ ის ფული დიდმარხვის დაყენებით აღარ დაუგროვებია...

მიდიოდა მშვენიერი დრო და იმედის სიკეთესა ტოვებდა!

ბიჭს ქალაქი ეძახდა, მაგრამ ვენახის ბორკილი დიდხანს არ ახედებდა არსაით.

მაინც წავიდა ბიჭი, მაინც ვერ მოიშორა ვენახის სანატრელი ბორკილი...

ზამთრის ერთ დღესაც დედის ჩამოსაყვანად წავიდა სოფელში. ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა, მაშინ შეამჩნია: ის დღე წარსულს მითვლოდა უკვე— გზები ღონიერ ბინდ-ბუნდს დაემოკლებინა. მისი სახლის აივანზე ნათურა ირხეოდა. ნათურის დაგუბებულ შუქს ატირებული ნისლი თითქოს თეთრი სიმებით დაეჭრა და აივანზე აკრული ლელვის მიხლართულ-მოხლართულ ტოტებში ჩაეჩურთა. საბუხრედან ამოსული ტკბილი კვამლი ნისლს შეუმჩნევლად შერეოდა.

ბიჭი უხმაუროდ შევიდა ეზოში. კიბეზე რომ ადიოდა, მოულოდნელი სიხარულის სილამაზე წუთით დაავიწყდა და გაბედულად აახმაურა საფეხურები. დედამ ნაბიჯების ხმაზე იცნო. ვიდრე ბიჭი კარს შეაღებდა, მანამდე მოესმა დედის სიტყვები:

## უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან

### ნობელის პრემია პაბლო ნერუდას წიგნს

ნობელის პრემია მიენიჭა გამოჩენილ ჩილიელ პოეტს პაბლო ნერუდას წიგნს „ვაღიარებ, რომ მე ვიცხოვრე“.

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: ჩილე, ესპანეთის რევოლუცია, გარსია ლორკა, პარიზი, მექსიკა, განდი და ნერუ, პიკასო, ერენბურგი, კვაზიმოდო, კასტრო, პრეზიდენტი ალიენდე და ფაშისტური გადატრიალება და სხვ.

### ჰოლივუდის საბჭოს გადაწყვეტილებით

ჰოლივუდის საბჭოს გადაწყვეტილებით ოსკარის პრემია მიენიჭა ფედერიკო ფელინის ფილმს „ამარკორდს“ („მე შენ მახსოვხარ“), როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ფილმს. აღნიშნული იქნა აგრეთვე ფილმები: ლილიანა კავანის „ღამის გუშაგი“ და ფრანკო ბრუსატის „პური და შოკოლადი“.

### სანახაობითი მუზეუმი ჰოლივუდში

ჰოლივუდის სავაჭრო კამერამ, როგორც იქნა, თავი მოაბა დიდ საქმეს. 25 წლის ყოყმანისა და კამათის შემდეგ — ჰოლივუდში გაიხსნა სანახაობითი მუზეუმი.

დღეისთვის მასში გამოფენილი ნივთების ღირებულება 2 მილიონ დოლარს შეადგენს.

მუზეუმი გაიხსნა ჰოლივუდის ყველაზე დიდ მაღაზიაში. სანახაობით მუზეუმში მნახველს შეუძლია იხილოს მსოფლიოში ცნობილი კინოვარსკვლავების ნაქონი ტანსაცმელი, ძვირფასი ნივთები, ავეჯი.

### გარდაიცვალა ვიტორიო დე სიკა

ცნობამ ვიტორიო დე სიკას მოულოდნელი სიკვდილის შესახებ შეძრა მთელი მსოფლიოს კინოსამყარო.

მისი გარდაცვალების გამო დიდი მწუხარება გამოთქვეს და სამძიმრის დეპეშები გამოგზავნეს მსოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა, ვიტორიო დე სიკას თაყვანისმცემლებმა: რეჟისორებმა, მწერლებმა, მსახიობებმა...

მის დაკრძალვას აურაცხელი ხალხი დაესწრო. რომს არასოდეს დაავიწყდება მისი დასაფლავება. იგი დაკრძალეს სან ლორენცოს ბაზილიკის კედელთან.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ცნობილი იტალიელი მწერლისა და სცენარისტის ჩეზარე ძავატინის გამოსვლა, პრესის ფურცლებზე დიდი რეჟისორის გარდაცვალების გამო. იგი წერდა:

„დე სიკასთან 35 წლიანი შემოქმედებითი მეგობრობა მაკავშირებდა. ეს არაჩვეულებრივი მეგობრობა ასხივოსნებდა მთელ ჩემს ცხოვრებას. თითქმის ყველა მისი საუკეთესო ფილმი ჩემი სცენარების მიხედვითაა დადგმული. ამ ბოლო ხანებში განზრახული გვქონდა გაგვეკეთებინა ტელეფილმი „ორი მოხუცი“, ჩემი სცენარის მიხედვით. მასში უნდა ასახულიყო ომისშემდგომი კინო 1974 წლამდე. ამ ფილმით გვინდოდა გამოგვეხატა ჩვენი თავი. ეს იყო ჩვენი თანამშრომლობის უკანასკნელი აქტი“...

ვიტორიო ძილში გაიპარა. მას არავითარი ტკივილი არ განუცდია, მან ეჭვითაც არ იცოდა თავის საშიშ ავადმყოფობაზე. გარდაცვალებამდე ათი დღით ადრე, კლინიკაში წაყვანისას ამბობდა, რამდენიმე დღეში დავბრუნდები სახლში და მუშაობას განვაგრძობო.

— ჩამოხველ, შვილო?!

ბიჭს ახალთახალი ტანსაცმელი ეცვა. დედა ნაღვლიანად უყურებდა:

— შენი გარჯითა, შვილო?..

ბიჭმა პალტო გაიხადა და კაჩხაზე ჩამოჰკიდა. დედამ ისევ ახედ-დახედა:

— ეს ყველაფერი შენი ოფლითა, შვილო?..

ბიჭმა პიჯაკის ჯიბიდან ღიმილით ამოიღო ცხვირსახოცი, ოფლიან შუბლზე მოისვა, და უცებ დედის ქვითინი მოესმა.

გაოცებული შებრუნდა და დაინახა: იატაკზე ათმანეთიანები ეყარა. დედა ათმანეთიანებს დასჩერებოდა და ტიროდა:

— რაკი ამას ვეღირსე, ეხლა სიკვდილი მეპატიება, შვილო!..

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, ზოგი დალოცვილი, ზოგიც—დაწყევლილი. თანდათან გადიოდა წლები და ბიჭიც თანდათან იგებდა: თურმე რამდენი ამაგიანი, კეთილი, მოსიყვარულე ნათესავი ჰყოლია, თურმე რამდენი კაცის ხელში ყოფილა გაზრდილი. მაგრამ ეს ამაგი, ეს სიკეთე, ეს მოსიყვარულეობა, რამდენს ფიქრობს და, ვერაფრით ვერ გაურკვევია — მაინც რაში გამოიხატებოდა?!

ახლაც ხშირად ჩადის სოფელში და ახლაც ხშირად ხვდებიან ბავშვობის დროინდელი დედაბრები და ბერიკაცები, კარგახანს უყურებენ ხოლმე და მერე გაპარული ხმით ეკითხებიან:

— შვილო, შენ ნინოს ბიჭი არა ხარ?

ისა ვარო, ღიმილითა პასუხობს, მაგრამ ეს ღიმილი მალევე უქრება— ორიოდელა დაფამფალებს მაშინდელი დალოცვილი, მადლიანი მოხუცი.

## ძველი პრესის ფურცლებიდან

ღარიბი ახალგაზრდა, მაგრამ ფრიად სათნოიანი ქალი მივიდა ერთი პრეზიდენტის ცოლთან მფარველობის სათხოვნელად. პრეზიდენტის ცოლს იმ დროს სტუმრები ჰყავდა და მათთან ლაპარაკში იყო გართული. სტუმრებთან საუბრის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტის ცოლმა ჰკითხა:

— რამდენი შვილი გყავთ, ქალბატონო?

— სამი, ჩემო ბატონო.

მერე ლაპარაკში გაერთო და დაავიწყდა და ისევ შეეკითხა:

— შვილი ბევრი გყავთ?

— მას შემდეგ, რაც მოგახსენეთ, რომ სამი შვილი მყავს-მეთქი, მეოთხე არ მომცემიაო.

ერთხელ არლეკინმა სთქვა: ყველა ამბობს, რომ ერთი ჭიქა ღვინო კაცს ძალ-ღონეს უმატებსო. სისულელე ყოფილა, რადგან აგერ ორმოც ჭიქაზე მეტი დავლიე, მაგრამ მაინც ფეხზე ველად ვდგავარო.

როცა ბონაპარტემ ესპანეთს ომი გამოუცხადა, ტალეირანი ურჩევდა, თავი დაანებეო.

— ეს ომი ჩემთვის მხოლოდ საუზმე იქნებაო, — უბრძანა ნაპოლეონმა.

— ვშიშობ, ვაითუ თქვენს უდიდებულესობას დიდხანს მოუნდეს მაგ საუზმეზე შექცევაო, — მოახსენა გონიერმა მინისტრმა.

ლორდ ბაირონმა უთხრა ერთ ლექსების მთხზველს სონტეის, რომელსაც სახელი არ ჰქონდა მოხვეჭილი:

— შენი სახელი მხოლოდ მაშინ იქნება განთქმული, როცა ქვეყანას დაავიწყდება ჰომეროსის, პინდარის, ვირგილიუსის და ჰორაციუსის სახელიო.

ერთმა სამხედრო კაცმა თავის ცოლს მაშინ მიასწრო, როდესაც იგი საიდუმლო ბაასში იყო თავის სატრფოსთან. მხედარმა მაშინვე ხმალი იშიშვლა და უნდოდა თავი მოეკვეთა თავის პატიოსნების შემლახველისათვის.

— შესდექ! — შესძახა ცოლმა, — შენ გინდა შენი შვილების მამას სიცოცხლე მოუსპო?!

ერთი გრაფი მოგზაურობის დროს შევიდა პროვინციის სასტუმროში და ჰკითხა მასპინძელს:

— რა გაქვთ სადილად?

— გაახლებთ ბატონო, თქვენს უმორჩილეს კალმახებსა და თქვენ უერთგულეს ხბოს კატლეტებსაო, — უპასუხა „ზრდილობიანმა“ მასპინძელმა.

ნაპოლეონი ამბობდა: ჩემი დიდება და სახელი ჩემი ჯარისკაცების დიდება და სახელი არის. მე მხოლოდ ვპარავ იმათ ამ სახელსა და დიდებასო.

ქ-ნ ჟოკურთან ერთხელ სადილად იყო ერთი ძალიან ჭკვიანი ყმაწვილი კაცი. ამ ყმაწვილმა კაცმა დაიწყო ერთი გრძელი ამბის მბობა და ლაპარაკის დროს ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო ინდოურის გასაჭრელად.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა დიასახლისმა, — სადილობის დროს სჯობია დიდი დანა იქონიოთ და პატარა ამბებიო.

ერთმა გამბედავმა ქურდმა, როდესაც დაჩოქილი აღსარებას ამბობდა, მღვდელს საათი ამოაცალა.

— მამაო, — უთხრა ქურდმა, — ვქურდობ ხოლმე.

— როგორ, შვილო?

— მამაო, დღესაც მოვიპარე (საათი ამ დროს ჯიბეში ჰქონდა კიდეც).

— მაშ უკანვე უნდა დაუბრუნო მოპარული ნივთი პატრონს.

— მამაო, თქვენ მოგართმევთ.

— არა, შვილო, მე კი არა, იმას მიეც, ვისაც მოჰპარე.

— რა ვქნა, მამაო, ვაძლევ იმას, ვისაც მოვპარე, მაგრამ არ მართმევს.

— მაშ შენ გქონდეს, შვილო, ღმერთმა მოგახმაროს!

# ამ ჩვენს მამულში



ფოთის „ჰიდრომექანიზაციის“ ქარხანაში წელს სერიულად დაიწყო „ზრს-გ“ ტიპის მიწასაწოვი მანქანების გამოშვება.

ეს მანქანები გათვალისწინებულია მდინარეებისა და არხების ფსკერის გასაწმენდად, წყალსაცავების, ქვაბულების, მიწის ჯებირებისა და მიწაყრილების ასაგებად.

მანქანას შეუძლია ერთ საათში ამოიღოს 180 კუბური მეტრი გრუნტი. მისი მართვა დისტანციურია და მხოლოდ ორი კაცი ემსახურება.

ფოთური მიწასაწოვი მანქანები უცხოეთის ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

გორაკის ძირას მიყუჟულა ქართული მწერლობის კლასიკოსის დავით კლდიაშვილისეული ოდა, სახლი იმ კაცისა, რომელსაც საქართველოში პირველად მიენიჭა სახალხო მწერლის წოდება.

ოდაში, რომელშიც ცხოვრობდა კლდიაშვილების ოჯახი, აგერ უკვე 25 წელია, რაც სახლ-მუზეუმია გამართული. ამ ხნის მანძილზე მუზეუმს განაგებს დავით კლდიაშვილის ქალიშვილი ნუცა კლდიაშვილი.

ნიადაგ სტუმრიანობაა კლდიაშვილების ეზოში. ძველი ოდა ნიადაგ ღიაა მათთვის, ვისაც აინტერესებს, სად გაატარა მწერალმა ბავშვობა და ყრმობა, სად დაწერა უბადლო მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“. სად დახუჭა თვალი...

მტკიცეა საძირკველი სიმონეთური ოდისა. ამ საძირკველზე დააშენა თავისი დიდი შემოქმედება დავით კლდიაშვილმა.

სურათზე: ნუცა კლდიაშვილი ექსკურსანტებს შორის.



თერჯოლის რაიონში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობაა. აქ საფუძველი ჩაეყარა საკოლმეურნეობათაშორისო ვაზის სანერგე მეურნეობას. სრული ამოქმედების შემდეგ სანერგეში გამოიყვანენ 2 მილიონ ძირ ვაზს.

რაიონში საკუთარი ნერგით ყოველწლიურად გაშენდება 250-300 ჰექტარი ვენახი. 1980 წლისათვის აქ ვენახების საერთო ფართობი 4 ათას ჰექტარამდე გაიზრდება.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დამტვერიანების თავიდან აცილების მიზნით წელს სამ ღუმელზე დამონტაჟდება მძლავრი მტვერსასრუტები.

დარჩენილი სამი ღუმელი მწყობრიდან გამოვა და მათი სიმძლავრე მტვერსასრუტიან ღუმელებზე გადანაწილდება.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირში მწყობრში ჩადგება მეფრინველეობის კეთილმოწყობილი მეურნეობა, რომელიც 50 ჰექტარს მოიცავს. იგი 50.000 კვერცხმდებელ ქათამზეა გაანგარიშებული.

მეურნეობის მშენებლობაზე სულ დაიხარჯება 5 მილიონი მანეთი. მარტო შარშან აქ 2 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა.

გორიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ტანას ხეობაში ბურღვითი სამუშაოების დროს მიწიდან ამოხეთქა თერმიულმა წყალმა, რომლის დებიტი წამში 40 ლიტრია.

ახალი თერმიული წყალი დიდ პერსპექტივებს სახავს ტანას ხეობაში საკურორტო კომპლექსის მშენებლობისათვის. ეს ადგილები თავისი ჰავითა და ბუნებრივი პირობებით ძალიან წააგავს ბორჯომის ხეობას.

„გავამწვანოთ და კეთილმოვაწყოთ რაიონის ცენტრი!“ — საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ამ ინიციატივას ყველა საჩხერელი მშრომელი გამოეხმაურა.

შარშან საჩხერეში დაირგა 10 ათასზე მეტი ნაყოფის მომცემი ხე და დეკორატიული მცენარე, მოეწყო სკვერები. რაიონის ცენტრში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა 7 ქუჩას, გაფართოვდა პიონერთა პარკი. კომკავშირის ხეივანში აშენდა საგაზაფხულო ესტრადა.

წელს მოდინახეზე დამთავრდება „ბავშვთა ქალაქის“ მშენებლობა, ცენტრალურ ქუჩაზე აშენდება ქორწინებისა და ჰიგიენის სახლი, გაიხსნება სამხატვრო სკოლა...

ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათში დასასრულს უახლოვდება საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა.

კეთილმოწყობილი ფერმა 600 სულ ძროხაზეა გათვალისწინებული. მისი მშენებლობა 2.326 ათასი მანეთი დაჯდება.

თბილისში მწყობრში ჩადგა ახალი მიწისქვეშა გადასასვლელი მეტრო „სამგორის“ სადგურიდან კახეთის გზატკეცილამდე.

გადასასვლელის სიგრძე 106 მეტრია. მგზავრები გადადიან ე. წ. „მოძრავი ტროტუარით“ — ორზოლიანი კონვეიერით, რომელსაც შუაში მეტრნახევრიანი ფეხით სავალი ბილიკი აქვს.

მეტროპოლიტენის კომპლექსში ასეთი სახის გადასასვლელი ჩვენს ქვეყანაში პირველად, თბილისში გამოიყენეს.



საქართველოს საწარმოო-გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის პარტიებმა მიმდინარე ხუთწლედში გამოავლინეს მიწისქვეშა მტკნარი წყლების უმდიდრესი მარაგი, რომელთა დებიტი წამში 38,3 კუბური მეტრია. წყლის ეს რაოდენობა 2.000 წლისათვის მთლიანად დააკმაყოფილებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა დიდ ნაწილს.

ბათუმის „ელექტრომექანიკურმა“ ქარხანამ ამას წინათ შემკვეთებს გაუგზავნა „ეტ-2041“ ტიპის ელექტროურიკების სერიული პარტია.

ელექტროურიკას კარგი მანევრირების უნარი აქვს, ადვილი სამართავია და საათში ორი ტონა ტვირთი გადააქვს. მას ფართოდ იყენებენ აეროპორტებში, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობებში, სხვადასხვა საწარმოებში.

ელექტროურიკის სამ სახეობას ამას წინათ ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

ბათუმში დამზადებული პროდუქცია იგზავნება უნგრეთში, პოლონეთში, ინდოეთში, კუბასა და სხვა ქვეყნებში.



განყოფილებისათვის „ამ ჩვენს მამულში“ ინფორმაციები მოგვაწოდეს ჩვენმა კორესპონდენტებმა: რ. მეგრელიშვილმა, ე. მაჭავარიანმა, ნ. ჩიგოგიძემ, დ. ბიწაძემ.

## ლექსი საავადმყოფოდან

მე სიხარულის და სიყვარულის,
გაზაფხულის და ბავშვთა პოეტი,
ნეტა რა მიძღვის დანაშაული,
ამ პალატაში როგორ მოვედი?

ვეხვევი კედლებს. გავიცან ყველა.
აქ თურმე ახსოვთ ჩემი ლექსებიც
და განკურნების ახალ იმედით
მე დატანჯული გული მევსება.

დილიდან ველი ჩემს მკურნალ ექიმს,
ის დროზე მოვა, როგორც წესია —
მისი ღიმილი, თუ დამიჯერებთ,
მრავალ წამალზე უმჯობესია.

რამდენი ზრუნვა, ცოდნა სჭირდება
ადამიანთა სიცოცხლის მცველებს,
მაშ გამარჯვება, ძალა, სიმტკიცე
ამ ექიმების მადლიან ხელებს.

მარიჯან

## სად წავიდა...

უცებ თვალი ამეხილა:
დანისლულან ყრმობის მთები...
ვიცი, თეთრო გვირილებო,
ახლა აღარ მომიხდებით.
სად წავიდა თეთრი წყაროს
ძილდამფრთხალი თეთრი ნისლი?
საით მიდის თეთრი გოგო?
საით არის ბედი მისი?
საით, საით გაქცეულან
სიყრმის წმინდა იმედები?
გაგიმარჯოს, თეთრო ნუშო,
დღეის დღეს რომ იბადები!
სად წავიდა ალაზანის
ძილდამფრთხალი თეთრი ნისლი?
საით მიდის თეთრი გოგო?
საით არის ბედი მისი?

## ისევ ცისკენ...

ისევ ცისკენ მიფრინავენ
ყელყარყარა გედები.
დავეწევი თეთრფრთიანებს,
თეთრ ოცნებას ვნებდები.
დედა საბანს შემისწორებს,
თავთან ლამპა მინთია,
სიზმრად მოვა ჩემი სწორი,
გზაზე ლურჯი ბინდია...
თეთრო გედო, ახლა დროა,
მაპოვნინე ცხრა წყარო!
სავარდო და სახატოა...
გთხოვ, ლოდინი მაკმარო.
ვიცი, ისევ ვარდისფერი
ჩუმი გაზაფხულია!
ერთი ბიჭი ხიდთან მელის,
დარდით დაზაფრულია...
ბოჩოლები იჩქარიან
მტვერ აბოლილ შარაზე,
იქით ჩემი ჰიშკარია,
წამოსვლისას ჩავრაზე.
აბლაბუდა ენასკვება
წნელის ღობეს მკლავებში,
როგორ მსურდა უწინდებოდ
დედას წყალზე გავეშვი!
ტირიფს კაბა გახცვეთია,
დაფარულა ნისლებით,
თეთრო გედო, შენი ფრთების
თეთრი მტვერით ვივსები!

ლია სვანიძე

## ჩემს მამულს

რადგანაც მოველ ამ ქვეყანაზე,
მოდი, შენი ცის ეშხით ამავსე.
არ მომიშორო წამით ხელიდან,
მზე არ მომაკლო ოცნებით დაღლილს,
თორემ ეგ სხივი თუ განმერიდა,
მითხარ, უშენო სიცოცხლე რად ღირს?
მე შენს იალბუზს
მარად თავს ვუხრი,
შენს ცვრიან ბალახს
მინდა ვემთხვიო,
მკერდზე მებნიოს
ოქროს თავთუხი,
წელზეც ქართული
ვაზი მეხვიოს

## შუქურვარსკვლავი

თუ გადამრევენ ყოჩივარდები,
სხვის რიდს წამითაც არ ვიქონიებ,
ბაღში ქარივით მოგივარდები
და ფოთოლივით გაგიყოლიებ...

შუქურვარსკვლავად დაგენათები,
ასე კარგსა და ასე მშვენიერს,
თუ ჩამიქრება თვალში ნათელი,
შენს დიდრონ თვალებს მოვიშველიებ...

ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე

## [illegible]

შაბათ საღამოს ფუსფუსით თავბრუ დაქვევკათ ხოლმე სოფოსა და თევდორეს. კვირა დღეს ძვირფასი სტუმრების მასპინძლობაში არიან... ამათი ქალები თავიანთ ქმარ-შვილით დილიდანვე ამოგრიალდებიან ხოლმე ქალაქიდან მშობლების სანახავად...

ამ დღეს ვინ იტყვის სოფოსა და თევდორეზე ხანში არიანო. დედა თითისტარივით ტრიალებს ცეცხლთან, ბერიკაცს სადღა ახსოვს მუხლების ტკივილი... ცულის ერთ დაკვრაზე ანაფოტებს კუნძს. უფროსი სიძის პატივსაცემად თეთრ ღვინოს ამოიღებს, მეორისათვის — წითელს! კარგად იცის მათი გუნება-ხასიათი...

მაგრამ სულ სხვა სიხარულით ხვდება თევდორე შვილიშვილებს!

— ჩემო პატარა ქალებო, ჩემო პატარა ვაჟკაცებო! — ხითხითებს თევდორე და სიხარულის ცრემლით ევსება უპედანაოჭებული თვალები.

შაბათი მოსაღამოვდა და ხვალინდელი დღის მოლოდინში სოფოსა და თევდორეს საამოდ აუჩქარდათ გულები...

— მაშ, დილაზე შენ ქალ-სიძეებს ელი, სოფო ქალო? — ნაჯაფი ხელები გადაიბანა თევდორემ და შინ შევიდა.

— ველოდები და ვცრე... წინა კვირას რომ არ ამოვიდნენ, ასე მგონია, წელიწადია არ მინახავს... — სოფომ ფლოსტები მიაწოდა მეუღლეს.

— მერე, რით ხვდები, რით უმასპინძლდები?! — მაიხედ-მოიხედა თევდორემ.

— ფიქრი ნუ გაქვს... ყველაფერიცა გვაქვს, შენ მოდი, გემრიელად ისადილე! — ალერსით მიიპატიჟა სოფომ მეუღლე სუფრასთან... თევდორეს დღესაც გული სიამით ჩაელევა ხოლმე სოფოს ტკბილმოუბრობაზე...

— სოფო, აბა ერთი ზიმბილო ამოალაგე! — რაღაცის მოლოდინში თევდორემ სიამოვნებით მოჭუტა თვალები.

— ის, ქა, ეს რა უბედურებაა! — გული შეუქანდა სოფოს და ზიმბილო იქით მიაგდო.

— უბედურება კი არა, ის არ გინდა, — ლუკმა გაიგდო თევდორემ, — ნიღაბია, შე კაი ქალო, თვალის წინ დაგაკლდა! — იწყინა თევდორემ ცოლის უსიამოვნო შეძახილი.

— ნიღაბი? რა ვიცი, გული კი გადამიტრიალდა და...
— მოიწმინდა სოფომ, — ვინ მოგცა, რისი მაქნისია?..

თევდორეს ბოლმა ყელში მოაწვა.

— როგორ თუ რისი მაქნისია, უფრო შეუტია ცოლს, — კოოპერატივში ტაციობა იყო. ეგ ერთი ძლივს გამაჩვდინა ნოქარმა.

— რა ვიცი, ქა, დაუკრეჭია კბილები, — თავს ძალა დაატანა სოფომ და გაიღიმა.

— „მგელია" და მა რას იზამს? — გული მოუბრუნდა თევდორეს ცოლის ღიმილზე, — ხვალა რა, ჩვენი გოგო-ბიჭები რომ ამოვლენ, ამ ნიღაბს ავიფარებ და ისე შევეგებები ჭიშკართან: „მგელი ვარ, უნდა შეგჭამოთ-მეთქი!" — დაიბუბუნა თევდორემ და ულვაშებში ჩაიხითხითა.

— ეს კაცი, როგორღაც ჭკუაზე არ არის. ადამიანო, ბავშვები გინდა შეაშინო?! — ისევ მოიქუფრა სოფო.

— ჩვენს გოგო-ბიჭებს ნიღბით შეაშინებ? ეგ არი, ყმაწვილებს თამაში უყვართ, კამოდზე დადე, მე ვიცი ჩემი საქმისა!

— შვილიშვილები მარტო შენი საქმეა, ჰა? — დაიწოპა სოფო.

— ჰო, ენგრეა, მამა, ჩემი მონაგარია!

— მაშ, მგელივით უნდა დაკმეულო, ჰა?

— ენგრეა, უნდა დავუმეულო, უნდა გავეთამაშო, მაშ, ის არის კარგი შენი შიშით ყმაწვილები ბაღჩაში ვერ ჩასულან, ტურასავით კივილს რო ასტეხავ ხოლმე?!

— დიდი მადლობელი, ტურაც გამხადე, საკადრისი სიტყვა-პასუხით არა უნობ! — წამოდგა სოფო და სხვა რომ ველარა მოახერხა რა, კუთხეში მიდებული ცოცხი აიღო და გაკრა-გამოკრა იატაკს.

— რას ჩამოუშვი ცხვირი, შენ უფრო ადრე არ მიმაგვანე მგელსა? — სუფრას თავი მიანება თევდორემ და ჩიბუხს დაუწყო მზადება.

მართალია, სოფოს ქმარმა გული ატკინა, მაგრამ მაინც არ ესიამოვნა, ლუკმა რომ ჩაუმწარა, აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემოქმედა იმისი გულის მოსაბრუნებლად. დილას აქეთ მეურნეობის ბოსტანში იყო გასული სახათბურე ადგილის გასასუფთავებლად და ჯერ პირში ლუკმა არ ჩაუდევს. თევდორემ ჩიბუხი ისე ააკვამლა, თავ-პირი აღარ უჩანდა. სოფომ აქეთ იწრიალა, იქით იწრიალა, ბოლოს დაუყვავა ქმარს — სუფრა უნდა ავალაგო, მოათავე პურისჭამა?

თევდორემ არა უპასუხა რა, თავზე ბოხოხი მოიგდო და გარეთ გავიდა.

ცუდად ენიშნა სოფოს ქმრის საქციელი. ასე იცის, როცა ძალიან იწყენს რამეს, ჯველობიდან მოსდგამს ეს ხასიათი. უჩუმრად აალაგა სუფრა, მიალაგ-მოალაგა იქაურობა და კოკას წამოავლო ხელი. ეზოში რომ ჩავიდა, ბაღჩაში თევდორეს მოჰკრა თვალი გამოშვლებულ ნამყენებს ათვალიერებდა.

აპაი, შენა, თევდორევ! — მკერდზე მუშტი მიირტყა სოფომ, — დაბერდა და თავისი ბუტიაობა ვერ მოიშალა... სულ წითელი კვერცხი როგორ ვუგორო ამ კაცსა... მაშ. შიშით სიტყვა ვერ უნდა ვთქვა? — მიდიოდა წყაროზე სოფო და გულში სჯა-ბაასი ჰქონდა. სულ ენჩაგდებული როგორ უნდა იყოს ადამიანი, ბავშვებს რაღა მაგისი გულის გახეთქვა უნდათ, ისედაც, აგერეც გავჭრები, მთელი ორი კვირა იავადმყოფეს... რასაც იტყვის, მორჩა... მე რომ არ შევხვედროდი, რომელი ქალი გაუძლებდა...

როგორ მივიდა წყაროზე, როგორ გაავსო კოკა და როგორ გამობრუნდა, ვერაფერი გაიგო...

თევდორე ისევ ბაღჩაში დახვდა, ახლა ბარი აელო და ტერასებს შუა სადეხურს აკეთებდა.

სოფო უჩუმრის პირით ავიდა სახლში, ხვალისათვის ყველაფერი მზადა ჰქონდა, ტკბილიც, მჟავეც, მწარეც...

ჩიხირთმის ნაწილი ქონდრით შეანელა, ნაწილი — ქინძით, — ვისაც როგორ ესიამოვნებაო. შვილიშვილებს ნაზუქის კვერები დაუცხო. თვალზე აიფარებენ და „ჭიტა-ჭიტას" ითამაშებენო.

სოფო მოჰყვა შვილიშვილების ალერსს და სულ გადაავიწყდა თევდორეს ბუტიაობა, მაგრამ ბერიკაცმა რომ აღარ შემოაღო კარი, მხრებზე შალი მოიგდო და აივნიდან თვალი მოატარა ბინდში გახვეულ ეზო-ბაღჩას.

— გეყურება, თევდორე, ერთი, ნაფოტი ამოიყოლე, ცეცხლის შესანთებად! — ვითომც აქ არაფერიაო, ჩასძახა სოფომ კუნძთან შეჭიდებულ მეუღლეს და ისევ შინ შებრუნდა, ტახტზე მოიკეცა, სართავი აიღო და თითისტარი დააბზრიალა.

ჩამოართა ერთი ფთილა, ორი, სამი, ოთხი... აი, ახლა შემოვა თევდორე, აი ახლაო, მაგრამ საქმეში ხართ?!

„თავის დასთან გადავიდოდა. სანამ ბოლმას არ მოინელებს, რას მოვა. კაი გაძლება გინდა, სოფო!" — ამოიხრა დედაბერმა და ხელზე ამოხვეული ძაფი თითისტარზე გადაახვია.

ტრიალებდა თითისტარი და ძაფთან ერთად სოფოს გულის საყვედურსაც იხვევდა...

„ადგე, სოფო, მიხედე ამ საქმესა!" — შეიძახა გულმა და სოფომაც იკადრა ტახტიდან გადმოსვლა. ჩამოიხერტყა მატყლის ბუჭყებით მოდებული კალთა და კარებთან მიწყობილ თბილ ჩუსტებში ჩადგა ფეხი.

„თევდორე, თუ ღმერთი გაგიწყრა და ღვინოში ჩაიხრჩე, არ გადამირჩები, არა! — ჩურჩულებდა სოფო, — დაგავიწყდა, ამას წინათ ნინუცა ექიმმა სიკვდილს რომ გამოსტაცა შენი თავი... დაბერდი? ჭკუა გამოგელია? სირცხვილი არ არის ბერიკაცს მეზობლებში დაეწყო ძებნა?"

კიბეზე მძიმე-მძიმედ ამოდიოდა თევდორე.

„ნუთუ ნასვამია? ხვალ რა პირით უნდა შეხვდეს ქალსიძეს. გოგო-ბიჭებსა... ოხოოო, თევდორე"!

—სად ხარ, კაცო, თვალები დამაწყდა შენს გზაზე! — დაუტკბა სოფო შინმობრუნებულ ქმარს.

თევდორემ პასუხის მაგივრად მაგიდაზე დაჭრელებული ორი ჩიტი და ორიც ტიკინის „კაკანა" დააწყო და ალერსით გადაატარა ხელი.

— ვიშ, ქა! რა ლამაზებია, როგორ გაეხარდებათ ჩემს ტასო-ქეთინოს, ჩემს სოსო-არჩილს. მადლიანი ხელი გაქვს, ბერიკაცო!...

ბევრი სხვა საალერსო სიტყვაც გააგონა სოფომ თევდორეს, მაგრამ პასუხი არაფერზე მიუღია. დაბოღმილი თევდორე მთელი არსებით დუმილს მინდობილიყო. უსიტყვოდ გაიხადა ფეხთ, ისე დაიბანა ხელ-პირი, ტახტის ცალ კიდეზე მილაგებული ლოგინი გადმოშალა და დაწვა.

სოფო ერთხანს იჯდა, ხან საით გაექცა ფიქრი, ხან საით. შვილიშვილებისათვის თევდორეს ხელით გამოთლილ სათამაშოებს მიეალერსა, გულში ჩაიხუტა, დაკოცნა. მერე კამოდის უჯრიდან წმინდა სანთელი ამოიღო, ძველისძველ პაწია შანდალში აანთო და პირჯვრისწერით ჩაიჩურჩულა, — შეგვეწიოს კვირაძლის მადლი!

— გეყურება, თევდორე, კვირაძალია, უბრად ყოფნა ცოდვაა, ხმა გამეც! — შეევედრა სოფო და ქმრის გვერდით თავშეკავებით მოიკუნტა.

— ჩვენი კვირაძალიც რომ არი! გავიწყდება, წინ ერთი პარასკევიღა გვიდევს! — ჩაიდუდუნა ბერიკაცმა და რაკი საყვედური ამოთქვა — ჩაცხრა.

ქეთევან პილაშვილი

## ●

ჯერ მე მიყვარდა ფშაველი ჩემი,
მერე კი შენი ჩილოსლა ვცანი,
ბოლომდე მისი ერთგული ვრჩები,
ერთგული ვრჩები, გაზრდილი ქალი.
ჯერ მე მიყვარდა სოფელი ჩემი,
მერე მე, ვაჟავ, შენ შეგიცანი!

იზა ჯაფარიძე

## ვერხვი

შრიალებს ვერხვი მაღალი
ჩემს ფანჯარასთან მდგარი,
ხან რაღაც ფიქრი მოიცავს,
ხან შეაშფოთებს ქარი.

ხანაც დანამულ თვალებით
შემოიხედავს მწუხრალი.
ხან გამიღიმებს, ალერსით,
იტყვის — საწყალი ქალი!

ნათელა მამარდაშვილი

## სიცოცხლეა ჩემი

ეს გაშლილი ნუში
ბაღის შუაგულში,
ეს ყაყაჩო ველის,
სიმორცხვე რომ შვენის,
ეს ანკარა წყარო,
სიცოცხლით რომ ხარობს,
მზის სხივები თბილი,
თაფლად ჩამოღვრილი,
ეს მთები და სერი
იასამნისფერი,
ცა და ვარსკვლავები
სიცოცხლეა ჩემი!

## ოცნება ოქროყანაში

ამოდი ჩვენთან ოქროყანაში,
ცასთან და ჩემთან იქნები ახლო,
გარს შემოვისხათ ვარსკვლავთა დასი
და მთვარე ბაღში ჩამოვახაბლოთ.

ამოდი, ნახე, ნამიან ცაში
როგორ დასცურავს ღრუბელი გრილი
და თბილისიდან ოქროყანაში
როგორ ამორბის თეთრი აპრილი.

ნახე, ნიავი ჩუმი ალერსით
როგორ ევლება მინდვრებს და სერებს
და სიყვარული უმხურვალესი
როგორ ანაზებს ყვავილთა ფერებს.

ბაღს გაზაფხული თეთრად დაათოვს,
ქარებიც მალე გადაივლიან,
ვიცი, არ მოხვალ, ჩემო ძვირფასო,
„მაგრამ ოცნება მაინც ტკბილია".

დოდო გვიშიანი

## იური გაგარინს

დედამიწიდან გადაბარგულებს
და ცის შორეთში გადაკარგულებს
ბავშვური ძილით ეძინათ ღრუბლებს...
გადაეშალათ ნაბადი მოუმე...

იდუმალებას ზეცა მოეცვა...
შენ მზის ზარს დასწვდი მაშინ, როდესაც
მშობელი მიწის მანდა მოგესმა
და ჰერკულესის ძალა მოგეცა...

და იგრიალა, იქუხა ზარმა,
ცა და ქვეყნელი შეაზანზარა...
ცის ...მიფზების ზმაშ შემზარავმა
ხმამ გამყივანმა ზეცა გაზზარა...

. . . . . . . .

როცა მიფრინდი ზეცის თაღამდე,
თურმე გზად ზღვისფერ ყვავილებს რგავდი...
მზემდე გზიდა კაცის ლაღამდე
და მზეზე უფრო მეტად ამაღლდი...

## ხიდები

მასპინძელივით ხელგაშლილები
გზებზე ანთებენ სანთლებს...
სივრცეს უბვრეტენ დინჯი ხიდები
და ინახავენ სათქმელს...

ბედნიერება — ლამაზი მითი
რაოდენ ულირთ ძვირად...
უხმოდ გადააქვთ ცხოვრების ტვირთი,
თუმც ემძიმებათ ხშირად...

უსახრულობას შეხიზნულები
გზათა, ბილიკთა დარად...
ხიდები, ზოგჯერ ხანდაზმულები,
დგანან მშვიდობის ფარად...

იმერი ხარაძე

## ვინ გითხრა

ვინ გითხრა, თითქოს მე მოგელოდი,
ვინ მოგატყუა ასე ძალიან,
არა! ძვირფასო, არც დაიჯერო,
დღეის-დღეობით ეს სიზმარია,
მე თვითონ გეტყვი, თვითონ მოგიხმობ,
თუ შემიყვარდი ასე ძალიან!

ნაზი პედია

## ეს გაზაფხული

ეს გაზაფხული,
წარლვნა ფერების,
დღე ოქროს ფიფქა,
ნექტარით სავსე.
მზე გვერდით მიდგას,
მეალერსება და
სხივთა გვირგვინს,
მახურავს თავზე.

ეს გაზაფხული,
ეს დღე ნათელი,
ნუმც მომიშალოს
დედა ბუნებამ,
მე ჯერ არ მითქვამს
ჩემი სათქმელი
და გულიც ლექსად
მეჩურჩულება.

ნელი ჩაჩავა

## უნდა მესტუმრო

შენ ახლა უნდა
მესტუმრო სოფელში,
რომ უფრო ძლიერ იგრძნო
ბუნების იდილია.
აქ ყოველ ეზოში,
ყოველ ხე და ბუჩქში,
კვირტების ჰიდილია.
მზე თბილი თითებით
მიწას მკერდს უღელავს,
ზამთარი გაზაფხულთან
ალავერდს გადადის,
შენ ახლა უნდა ნახო
სოფლის ყველა კუნჭული,
უთვალავი ყვავილით ნაბარდნი.
ვენახმა ლერწები
ხმლებივით იშიშვლა
და ირგვლივ ფერების
ტკრციალი, სიცილია.
მორთულ-მოკაზმული
პატარძლობს სოფელი,
მზის გულზე ზეიმობს
ბუნების იდილია.

ჯანიკო გაბუნია





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

# ღვაწლი ქუმსიაშვილისა

ყოველ ადამიანს, ყოველ ოჯახს თავისი საწყაო აქვს. როდამ ქუმსიაშვილის ოჯახში დედაკაცობის საზომად ორი შავმანდილიანი მოხუცებულის ხატია, — ერთს ბუბა ერქვა, მეორეს თინა, — ერთი დედის მხარეა, მეორე მამისა.

როდამი საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმია და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მაგრამ მისი ინტერესები ფართოა. ყველაფრისადმი ცნობისმოყვარეობას იჩენს, ყველაფერს იკვლევს („აბა დაჰკვლიე“ — ხშირად აგონდება თინა ბებოს ნათქვამი, როცა რაიმეზე შვილიშვილის ყურადღების გამახვილება სურდა). ქუმსიაშვილების სადაურობაც აინტერესებდა და „დაჰკვლია“ — ქუმსი რაზიკაშვილი რაზიკაშვილთა იმ შტოს მამამთავრად ითვლება თურმე, რომელსაც ეკუთვნის ვაჟა-ფშაველა. დიდი კაკლებით მოჩრდილულა წინაპრის ნასახლარი ჩარგალთან, ბოწახში. ჩარგლიდან ქუმსის შთამომავალი ნადირა ქუმსიაშვილი ბუჰყინტაში გადმოსახლებულა, შემდეგ კი ერწო-თიანეთში. ერწო-თიანეთის ორხევი იქცა ქუმსიაშვილების ადგილის დედად. გორაკზე, დიდი თელების ქვეშ განისვენებს გამოჩენილი ქართველი მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილი.

...იქ მწყემსავდა როდამი „შავ კაბა“ ძროხას, თინა ბებოს ხელით ამოსხმული ქალამნებით დარბოდა, კამეჩის კუდზე გამობმული ცურავდა იორში.

— ნაზუქი წმინდა პურია, შვილო, არ დაობდება; აბა, დაჰკვლიე! — ეტყოდა ხოლმე თინა ბები ერთი კვირის ნაზუქზე და, მართლაც, მუდამ ახალივით იყო ბებოს გამომცხვარი ნაზუქი... ესეც ხშირად გაახსენდება: — ყველასთან თავმდაბალი იყოდე...

თინა ბებოს რჩევა სამუდამოდ ჩაებეჭდა სულსა და გონებაში — როდამ ქუმსიაშვილის თავმდაბლობა უმალ საჩინოა მათთვის, ვინც კი გასცნობია ამ მოუღლელ მკურნალსა და დასტაქარს. ჯარასავით ტრიალებს თავის აკადმყოფებში, სნეულთან ერთად მრთელდება; რამდენჯერ უძლევია სიკვდილი, რამდენი დადის ამ ქვეყნად მისი ჯარაქალობის წყალობით...

ორმოცდათხუთმეტი შრომის ავტორია როდამ ქუმსიაშვილი. დასტაქარი ოცდახუთი წლის დაკვირვებათა შედეგად ახალ საინტერესო შრომას წერს კიბოსწინარე დაავადებაზე — კუჭის პოლიპსა და პოლიპოზზე, რაშიც ასზე მეტ შემთხვევას განაზოგადებს. აკადემიკოს ეგნატე ფიფიას საყვარელი მოწაფე ოცნებობს მონოგრაფია დაწეროს თავის მოძღვარზე, რომლის გვერდითაც გაიზარდა იგი როგორც კლინიცისტი და მეცნიერი.

ნიკო ქუმსიაშვილის ასულს თავადაც საამო ხმა მიამადლა განგებამ, მაგრამ მშობლების სურვილით ხელოვნებასა და პოეზიაზე შეყვარებული ქალიშვილის ცხოვრება სხვა გზით წარიმართა — მედიცინას დაუკავშირდა, თუმცა არც იმ გატაცებისათვის უღალატნია, რისი შედეგიცაა ჩინებული მონოგრაფია ნიკო ქუმსიაშვილზე — „სიმღერის უკვდავება“ და ის სახლ-მუზეუმი, რომელიც მან ისევ მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად დააარსა.

წლების მანძილზე აგროვებდა მამის სახელთან დაკავშირებულ რელიკვიებს, ფოტომასალას, მოგონებებს. დღეს ეს მუზეუმი დიდი საგანძურია; იგი ერთი შემოქმედის ბიოგრაფიით კი აღარ შემოიფარგლება, არამედ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაზე. როდამისავე წყალობით მუზეუმში „ჩამოსახლდა“ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა: ფშავ-ხევსურული ტალავრები, მანდილები, ჩახსაკრავები, ხისა და სპილენძის ნაკეთობანი.

* * *

ვინ იყო ბუბა?

...შავმანდილიან, ადრე დაქვრივებულ დედაკაცს თავის პატარა ვაჟისათვის ჩაუკიდნია ხელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ნიკო ქუმსიაშვილის სახლ-მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე; ქვემოთ — როდამ ქუმსიაშვილი და ნიკოლოზ ტიხონოვი ჩარგალში, ვაჟაობაზე.



და მთიდან ბარად — წინამძღვრიანთკარში ჩამოხვეწილა. პურის ცხობით გაუტანია თავი, გამოუზრდია იოსები, თვალისჩინი კი თონეში ჩაუწვავს ყმაწვილქალობასთან ერთად... როდამს დედის ბებია — ბუბა (ბაბალე) მინდოდაური უკვე უსინათლო ახსოვს.

მისი გამომცხვარი პურის სურნელი ბევრჯერ დატრიალებულა აქ, მის მიერ დაქსელილი ხალიჩებით მომყუდროებულ კედლებშიც... ფრენა თქვით, თორემ სხვა რაღა უნდა ყოფილიყო ზღაპრული ხალიჩა ან ფერით, ან სიგრძე-სიგანით, ან მოხატულობით?! საკურთხეველს დამსგავსებია კედელი, რომელზეც ეს მშვენიერი, ალისფერ-შინდისფერი, ალისფერ-ღვინისფერი ხალიჩა არის გაკრული! ვის უნდა სცოდნოდა ამ ფერთა მადლი ისე, თუ არ ბუნების შვილს, ყვავილთა სამეფოში გაზრდილსა და გალაღებულს, თვალისმომჭრელი ტალავრების დამქსოვ-დამქარგავს?!

...დადგებოდა ზამთარი და მიუსხდებოდნენ ხევსური ქალები ჯარასა და ყდებს, იწყებდნენ ქსელვა-ბეჭვას და იტყოდა ბუბა:

— ის რა რიგ ქალ იქნება, რო ერთ ზამთარს შვიდ-რვა პერანგ არ დაკეროს.

დაკერვაში დაქსოვა-შემძივაც იგულისხმებოდა. ახლა ბუბას შემძივული სიტყვებიც გავიხსნოთ:

ვერცხლისამც თასად მაქცია,
რო ღვინით ავევსებოდი...

გაგონდებათ? დიახ, ეს ჩვენი ზეპირსიტყვიერების აღრალებიდანაა.

სად შეთხზა, როდის გალექსა ბუბა მინდოდაურმა თავისი ფიქრები და სურვილები — მთვარიან ღამეში ხალიჩების ქსელვისას (ამიტომ თუ შეერქვა მთვარიანის სახელი ერთ-ერთ ფარდაგს), ტალავრების ქარგვისას თუ თხილობა-შინდობაში ტოლ-ქალებთან და ნანდაურთან გაშაირებისას...

...ზის ახლა დიდედას დაქსოვილი ხალიჩის კალთაზე როდამი, თვითონაც კარგი მოხელსაქმე და საკვლევივით აკვირდება ბუბას ნახელავს. არა, ეს ჯვრები, ეს დაკავკაული, ცერა და გახატული ხაზები, ეს კვერილანები ისევე განუმეორებელია, როგორც ეს სტრიქონები:

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნალებო ინითა.

თუმცა როდამი მოლექსე არ არის, სამაგიეროდ დიდი გატაცებით აგროვებს ფშავ-ხევსურული პოეზიის ნიმუშებს.

ბუბასავით როდამიც ერთი ვაჟის დედაა და მას პაპის სახელი — ნიკო დაანათლა.

მის დედობაში, მის ღვაწლსა და მოუსვენრობაში, ბუნების წიაღისაკენ ლტოლვაში თუ პოეზიისადმი უსაზღვრო თაყვანისცემაში, ისევ და ისევ ბუბას და თინას ღირსეული მემკვიდრე მოჩანს...

— რა გიჭირთ ჩარგლელებს, ფქვილიც გაქვთ, პურიც, ნავთიც და მარილიც, — გამოელაპარაკა ვაჟას სახლის მახლობლად, მაღაზიასთან მდგარ ჭაბუკს ერთხელ როდამი.

— ეჰ, დეიდა, ეგენი კი გვაქვს, მაგრამ?..

— რა მაგრამ? აბა, ეგრე ჩაცმული როდის დადიოდით, დაფხანთული ქალამანი კი არ გცმია?

— ქალამანი სულაც არ ვიცი, — თქვა ჩარგლელმა და მოხდენილად ჩაცმულ ქალს ეჭვით ახედა, — ან ამან საიდან უნდა იცოდესო.

...ბიჭმა არც ის იცოდა, რომ იმ ქალს ახსოვს და მონატრებია ფშაური სამოსელისა და შიბის „გემო“; არც იმას დაიჯერებდა, მონატრებულს ძმასთან ერთად თოვლში რომ უკვლევია გზა, ოღონდაც მარტოხელა ბებო გაეხარებინა საახალწლოდ...

— ხომ ყინჩადა ხარ, დობილო? — შეეკითხება დობილებს და ვისთანაც ძველი ნახელსაქნარი ეგულება, მუზეუმისთვის გამოთხოვს.

— რა მიქნა როდამამ, დამწირა დაუსუდრავი, — ღიმილით დაიჩივლებს დობილი და ღიმილითვე გამოუტანს ყმაწვილქალობისდროინდელ, ხოხბისკუდისფრად შემოქარგულ ბოლოფრიალა კაბას.

„ნადავლთან“ და ძახველის ტოტებთან ერთად როდამს თბილისქალაქში მთების სუნთქვა და სალამიც ჩამოჰყვება ხოლმე...

ნანა ღვინეფაძე

# ახალი თარგმანები

## გაბრიელა მისტრალი

### სინათლე

ის მოგზაურობს ლაღად ჰაერში,
ო, ის რომ არა, ვერ გიხილავდი,
ვერ ჩაგხედავდი, შვილო თვალებში,
დამაბრმავებდა შავი წყვდიადი.
ვერ მოგძებნიდა მძიმე ღამეში,
ვისაც უყვარხარ ქვეყნად — ვერავინ,
იფათურებდნენ მრუმე მხარეში
და იკვნესებდნენ მწარედ ყველანი.
...სხივად დაცემულს და ჩვენს სალოცავს,
ვუმზერთ და თითქოს სული გვეზრდება,
მარად ცვალებადს, მარად საოცარს,
რაც არასოდეს არ მოგვბეზრდება.
შენ მას შეხედე — მგზავრო ახალო,
შენ მას შეხედე — გზას რომ გინათებს,
ჩვენ გვგონია, რომ გვიყვარს სამყარო,
სინამდვილეში გვიყვარს სინათლე.
ნეტარმა, როგორც ვინმე რჩეული,
(თითქოს სალბუნად სულზე ეფინე),
მიიღო შენი ჩვილი სხეული,
რომ სამზეოში ეტარებინე.
როცა მოვკვდები ერთხელ, დაღლილი
და დავშორდებით როცა მე და შენ,
მხოლოდ სინათლის გესმას ძახილი,
მას გაჰყევ, შვილო, როგორც დედაშენს.

### პატარა ხელები

ხელებო, პატარა ხელებო,
ვიღაცა მათხოვარს გიწოდებთ,
თქვენა ხართ ამ ქვეყნის პატრონნი,
იცოდეთ.
ხელებო, მოჩანხართ ფერმკრთალნი,
სადაც მთავრდება გზაწვრილი,
როგორ თრთით ბროწეულისკენ
გაწვდილნი?
ხელებო, ბავშვების ხელებო,
ბალში ვიღაცამ გაგლახათ?
მწიფე ხილს კი ისე უხარია
თქვენი დანახვა.
გელით გამჭვირვალე სიტკბო,
ფიჭაში მსუნთქავი ალერსი,
ადამიანები კი მიდიან
და, არ ესმით.
ხელებო, თეთრო ხელებო,
აქა ხართ, მზიან ყანაში,
ო, როგორ უნდათ თავთავებს
თქვენთან თამაში.
თვალს გაყოლებენ მინდვრები,
ალერსი ვერ მოიმადლეს,
ჰგავხართ, ნაზნი და მყიფენი
ციცქნა ნიჟარებს.
არა აქვთ, არა, სიმკაცრე
ღარიბთა ხელებს საცოდავთ.
კურთხეულ იყოს, ვინაც კი
პური მოგაწოდათ.
კურთხეულ იყოს, ვის ესმის
ეს ბედი არა ადვილი,
და ქვეყნად სურს დაგიბრუნოთ
თქვენი ადგილი!

ესპანურიდან თარგმნა
ლია ჭავჭავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უველაზე დიდი ჯილდო

არიან უბრალო, უჩინარი ადამიანები, რომლებიც დედაქალაქის პირველხარისხოვანი წარმოება-დაწესებულებებიდან დაშორებით, რაიონის ცენტრებსა თუ რიგით სოფლებსა და დაბებში თავდადებით შრომობენ.

ლუბა ექიმს ახლა თეთრად შევერცხლია თმა, ამ ორმოციოდე წლის წინ კი ბრდღვიალა, შავთმიანი ქალიშვილი მოვიდა ცხაკაიას რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებაში. მოვიდა და, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საგზური წარმოადგინა.

ახალბედა ექიმი რაიონის კანისა და ვენერიული დისპანსერის სტაციონარის ექიმ-ორდინატად დანიშნეს. აი, იმ დღიდან დაიწყო ლუბა ჩაჩიბაიას ახალი ცხოვრების გზა.

ეს გზა მძიმე იყო, ათასგვარი წინააღმდეგობებითა და სირთულით სავსე, მაგრამ ეს გზა იყო ნათელი, თავისი საქმის სიყვარულითა და ხალხის ზრუნვაზე ფიქრით აღსავსე გზა.

პრინციპული, კომუნისტი ექიმი მალე იმავე სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელად დააწინაურეს. ამ თანამდებობაზე იგი დღემდე მუშაობს.

პატივცემული ლუბა მცოდნე, გულისხმიერი ექიმიც არის და მეგობარიც, დიასახლისიცა და კარგი დედაც; საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობასაც ეწევა და, რა დასამალია, ახალგაზრდობაში სიმღერითაც იყო გატაცებული. იგი ხშირად გამოსულა სცენაზე და ქართული ხალხური სიმღერების ოსტატური შესრულებით მოუხიბლავს მსმენელები.

ხალხის ზრუნვაზე გატარებული წლები დაუფასდა ექიმს. მას რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭა; ჯილდოებიც ბევრი მიიღო. უველაზე დიდი ჯილდო კი მისთვის ის სიყვარული და პატივისცემაა, რომელსაც მშრომელი ხალხისგან ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხედავს ლუბა ექიმი.



იონა გვასალია

იუმორისტული მოთხრობა




ძალიან ცუდ დღეში ვარ, რამდენ ინფარქტს ან გულის ავადმყოფობას მოჰკრავს ყურს ჩემი ცოლი, სად გავიქცე არ ვიცი. იმ დღეს, სამსახურიდან დაბრუნებული, ჩამიგდო ხელში და მომდგა:

— კიდევ გასკდი ხომ? ყარხარ ღვინის სუნით! — — შეჰკივლა მან.

— რითი ვყარვარ, ქალო, ერთი ჰიქა ლუდი დავლიე! — ვიმართლე თავი მე.

— ისე დაგლია შენ სიკვდილმა, როგორც სამ ლიტრზე ნაკლები არ გქონდეს დალეული. სიკვდილი გინდა ხომ?! უცებ რომ მოკვდებოდე, რა მიჭირს! რომ ჩაეგდები თვეობით ლოგინში, ვინ უნდა იწვალოს, თუ იცი?!

— ახლა თვეები არ სჭირდება ინფარქტს, გრიპზე უფრო ადვილად არჩენენ!

— ჰოდა, როგორც კი დალევ და მოწევ, იცოდე, სახლიდან წავალ!

— ამის გულისათვის წახვალ, ქალო?! ბაბუაჩემი ხომ მოკვდა 98 წლის, მისი სიცოცხლე ჩიბუხი პირიდან არ გამოუღია, 4-5 ლიტრ ღვინოს სვამდა ყოველ დღე, დილას უზმოზე სამ „რუმკა“ არაყს გადაკრავდა და ისე მიდიოდა ყანაში სამუშაოდ!

— ბაბუაშენი არ ვიცი მე, ან მე, ან ღვინო, ან პაპიროსი!

— ჩვენ ქვემოთ რომ პლატონი ცხოვრობდა, შარშან რომ მოკვდა, ხომ გახსოვს?

— რა შუაშია აქ პლატონი, წმინდანი კაცი იყო ის საცოდავი, შენ კი არ გგავდა!

— მართალია, მე არ მგავდა — ღვინოს არ სვამდა, პაპიროსს არ ეწეოდა, ცოლის მეტი ქალი იმან არ იცოდა, მერე რა ცხოვრებაა ეს? გინდა ყოფილა და გინდ არა ამ ქვეყანაზე! მაგას გურიაში „გოუსვენებელი კეტარი“ ჰქვია და რაც ადრე გაასვენებენ, ის ჯობს.

— ვაი, შენს პატრონს! — ქოქოლა მომაყარა ცოლმა.

ზოგჯერ ხდება ხოლმე — დილამდე ვქეიფობ. საწოლ ოთახში, პორტფელით ხელში, ჩემი საწოლისკენ შევიპარები ზურგით. მერი ნამძინარევი ხმით მეკითხება:

— გაათენე ხომ? შენ არ გაგითენდა ხვალინდელი დღე!

— რას ამბობ, ქალო? ვერ ხედავ, სამსახურში მივდივარ! — და ცოლმა ეჭვი რომ არ აიღოს, ახალი შემოსული უკან გადადგმულ ნაბიჯს ისევ წინ ვდგამ და ოთახიდან გავდივარ. ასეთ უბედურ დღეში ვარ, აბა!

რვა მარტს მე და ჩემი ძმაკაცები ჩემს ცოლს მისალოცად ადრიანად მივადექით.

— ასე მილოცავ ხომ?! მკლავ ხომ?! გინდა გამიხეთქო გული?! — დაიწყო მერიმ საყვედურები.

— მე შენ, ჩემო სიცოცხლევ, როგორ გაგიხეთქავ გულს? ჩაჯექი აგერ რბილ სავარძელში. გული დაიმშვიდე!

მერიმ გაკვირვებით შემომხედა. მივუდგი გვერდზე ტკბილეულით სავსე მაგიდა.

— შენ რომ არ შეწუხდე და გული არ გაგისკდეს ჩემი წყევლით, ჩემო მერი, აგერ მაგნიტოფონი შევიძინე, დამინახავ თუ არა სახლში შემოსულს, ჩართე ეს და შენს მაგიერ ილაპარაკებს, — ვუთხარი მე.

მაგნიტოფონთან მივედი, ჩავრთე და ოთახში ნაცნობი დიალოგი გაისმა.

სიამაყის გრძნობით გადავხედე მერის, ერთხელ კიდევ ვაკოცე და ვუთხარი — ვენაცვალე ტექნიკას, აგვაცილებს ჩვენ ინფარქტს!

თინა ჟორჟოლიანი



კანადის ქალაქ ტორონტოში შეიქმნა ახალი თეატრი.

პიესები, რომლებიც თეატრში დაიდგმება, აუცილებლად ქალების მიერ უნდა იყოს დაწერილი და ქალთა ცხოვრებას უნდა ასახავდეს.



მსოფლიოში ყველაზე მაღალ ქალად თვლიან 19 წლის ამერიკელ ქალიშვილს სენდი ალენს. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 26 სანტიმეტრია.

მამაკაცთა შორის ყველაზე მაღალია ჩიკაგოელი დონ კოლერი, რომლის სიმაღლე 2 მეტრი და 46 სანტიმეტრია.

□

უოლს ჰენსი დაავადებული გულით დაიბადა. სიცოცხლის მეთვრამეტე საათზე ახალი ორლეანის (აშშ) ერთ-ერთი ჰოსპიტლის ექიმები იძულებულნი გახდნენ ოპერაცია გაეკეთებინათ ჩვილისთვის.

ჰენსი მსოფლიოში ყველაზე პატარა პაციენტია, რომელიც გულის სტიმულიატორის აპარატს ატარებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში „წმინდა მამებმა“ გადაწყვიტეს ერთ-ერთი ტაძრის ტერიტორიაზე გახსნან კომფორტაბელური... რესტორანი.

რესტორანში სპირტიანი სასმელებიც გაიყიდება. წირვა-ლოცვის შემდეგ მორწმუნეებს საშუალება ექნებათ გვარიანად შეზარხოშდნენ „ქრისტიანულ გარემოცვაში“.





ჰოლანდიაში მცხოვრებ 13 მილიონ ადამიანზე 7 მილიონი ველოსიპედი მოდის.

სპეციალისტების მონაცემებით, ველოსიპედის მფლობელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 5 წლით მეტია ჰოლანდიის მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სპოკანეში ბოროტმოქმედმა კინოთეატრის სალარო გაძარცვა. დამნაშავე აღმოჩნდა ერთ-ერთი მაყურებელი, რომელმაც ის-ის იყო ნახა ახალი კინოფილმი „დასტაცე ფულს ხელი და გაიქეცი!“




□

ატლანტელი (აშშ) ექიმი ბრაუნი თვლის, რომ სამედიცინო დიაგნოსტიკის ყველაზე საუკეთესო საშუალება — თმის ანალიზია.

ბრაუნს მიაჩნია, რომ თმა, რომელიც სწრაფად იზრდება, საიმედო საშუალებად შეიძლება გამოდგეს იმ ცვლილებათა აღმოსაჩენად, რომლებიც ორგანიზმში ხდება.

# ნარევი · ნარევი · ნარევი · ნარევი

□

კალიფორნიის (აშშ) ერთ-ერთი მექათმეობის ფერმის შესასვლელში მსხვილი ასოებით წერია: „ფრთხილად, ეზოში ავი მამალია!“

ფერმაში ამაყად დადის დეზებიანი მამალი, რომლის წონა 10 კილოგრამზე მეტია.

მამალმა უკვე დაასახიჩრა რამდენიმე კატა, ერთ ძაღლს თათი მოსტეხა. გაავებულ მამალთან ვერც ადამიანები ბედავენ მიახლოვებას.

□

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის საგანგებო აგენტებმა, რომლებიც ფულის ყალბისმქნელებს ებრძვიან, ლოს-ანჟელოსის მახლობლად საეჭვო ავტომანქანა დააკავეს.

მანქანის საბარგულში აღმოჩნდა რვა მილიონი ყალბი დოლარი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე პოლიციამ პირველად აღმოაჩინა ასეთი დიდი რაოდენობის ყალბი ფული.



ფრანგმა სტუდენტმა სტივ ტალევიმ ამას წინათ თავისებური რეკორდი დაამყარა: 9 კილომეტრი მანძილი მან 8 საათსა და 58 წუთში დაფარა... ოთხზე ხოხვით.

— სიმართლე რომ გითხრათ, — აღიარა სტივმა, — ეს რეკორდი მე მხოლოდ ფულისთვის დავამყარე.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნინო ჯავახიშვილი. საქართველოს სახალხო მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი.

გადაეცა ასაწყობად 9/II 75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/III-75 წ. ქაღალდის ზომა $70\times108^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 53.000; შეკვ. № 538 უე 01808 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 95-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# სარვამარტო ლიმილი



— გილოცავ რვა მარტს!

ნახატი ვახტანგ კუციასი



როცა თანამშრომლების უმრავლესობა ქალები არიან.



— ბიჭები არიან თუ გოგოები?

— რას აკეთებთ?
— მობინადრე ქალებს რვა მარტს ვულოცავთ.

ნახატები თამაზ ჩაჩავასი



სარვამარტო საჩუქრები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხული რაჭაში. თ. არჩვაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76056